პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 21 იანვარი, 1948 წ. № 15 (8059). ფასი 20 კაპ.

დღეს შესრულდა 24 წელი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალებიდან.

საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცედ მიდის წინ ლენინის მიერ ნაჩვენები გზით, განუხრელად ასრულებს ლენინის ანდერძს.

ლენინი ცოცხლობს ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვებაში!

სტალინი ლენინია დღეს!

ლენინის უძლეველი დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით წინ, კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლენინიზმის ზეიმი

ჩვენი ხალხი დიდი ლენინის გარდაცვალების წლისთავზე ყოველთვის აჯამებს განვლილ მუშაობას, ათვალიერებს ლენინიზმის განხორციელებისათვის ბრძოლის შედეგებს, სახავს კომუნიზმის მშენებლობის მორიგ ამოცანებს.

ლენინის გარდაცვალების 23-ე წლისთავიდან 24-ე წლისთავამდე განვლილი პერიოდი ხასიათდება, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ საბჭოთა ქვეყანამ დასძლია ომისშემდგომი პერიოდის ძირითადი სიძნელეები და მთელი ძალით გააჩაღა ბრძოლა სრული კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

მართლაცდა, რას მივაღწიეთ ჩვენ გასულ წელს?

პირველი, ჩვენმა მრეწველობამ, რომელმაც, როგორც ცნობილია, სამამულო ომისაგან უდიდესი ზიანი განიცადა, უკვე გასული წლის ოქტომბერში მიაღწია წარმოების ომამდელ დონეს. ეს ნიშნავს, რომ სოციალისტურმა მრეწველობამ ჩვენი მუშათა კლასის გმირული შრომის შედეგად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ძირითადად მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები და მის წინაშე ახალი მძლავრი აღმავლობის შესანიშნავი პერსპექტივა გადაიშალა.

მეორე, ჩვენმა სოფლის მეურნეობამ, რომელმაც არა მარტო ომისაგან, არამედ 1946 წლის გვალვისაგანაც უდიდესი ზიანი განიცადა, გასულ წელს ქვეყანას მისცა ისეთი მოსავალი, როგორსაც აძლევდა ომისწინა საუკეთესო წლებში. ეს ნიშნავს, რომ სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ჩვენი კოლმეურნე გლეხობის გმირული შრომის შედეგად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ძირითადად მოიშუშა ომითა და 1946 წლის გვალვით მიყენებული ჭრილობები და განუხრელი აღმავლობის გზას დაადგა.

მესამე, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარმატებებმა შექმნეს პირობები მოსახლეობის მომარაგების დარგში ომის პერიოდის შეზღუდვათა გასაუქმებლად, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის მკვეთრად ასამაღლებლად. ბარათებით მომარაგების სისტემის გაუქმება და ფულის რეფორმის განხორციელება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დიდი მონაპოვარია. თავის მხრივ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის ამაღლება ქმნის პირობებს ჩვენი მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის კიდევ უფრო დაჩქარებისათვის.

მეოთხე, ომისშემდგომი სიძნელეების დაძლევისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო შემჭიდროვდა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დიდად ამაღლდა მასების შეგნებულობის დონე. ამის მკაფიო მაჩვენებელია სოციალისტური შეჯიბრების უმაგალითო გაქანება როგორც ქალაქად, ისე სოფლად, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში. ამის მკაფიო მაჩვენებელია კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება ჯერ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და შემდეგ ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში. ჩვენი ხალხის მჭიდრო დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინის გარშემო კომუნიზმის ახალ გამარჯვებათა ურყევი საფუძველია.

ყოველივე ნათქვამიდან ცხადია, რომ ჩვენ უკან მოვიტოვეთ ომისშემდგომი პერიოდის მთავარი სიძნელენი, რომ ახლა ჩვენ უფრო სწრაფად წავალთ წინ, ვიდრე აქამდე მივდიოდით.

სრულიად საწინააღმდეგო სურათია კაპიტალისტურ სამყაროში. როგორც ცნობილია, კაპიტალისტურ ქვეყნებს გაცილებით ნაკლები ზარალი მოუვიდათ ომში, ვიდრე საბჭოთა კავშირს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, ომში კი არ დაზარალებულა, არამედ გამდიდრდა კიდეც. მიუხედავად ამისა, კაპიტალისტური ქვეყნები არათუ თავს აღწევენ ომისშემდგომი პერიოდის სიძნელეებს, არამედ სულ უფრო მწვავე საერთო კრიზისს განიცდიან.

ამჟამად კაპიტალისტური სამყაროს საერთო დამახასიათებელი ნიშანია არა სახალხო მეურნეობის აღმავლობა, არა ომით დაზიანებული საწარმოების აღდგენა და ახალი ფართო მშენებლობა, არამედ, პირიქით, მოქმედ საწარმოთა დახურვა, პროდუქციის გამოშვების განუხრელი შემცირება, საქონლის გასაღების სიძნელეთა ზრდა, რასაც მწვავე ეკონომიური კრიზისი უნდა მოჰყვეს.

კაპიტალისტური სამყაროს საერთო დამახასიათებელი ნიშანია მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის არა რაიმე გაუმჯობესება, არამედ, პირიქით, მუშათა რეალური ხელფასის შემცირება ფასების კატასტროფული ზრდის გამო, უმუშევრობის განუხრელი ზრდა, გლეხობის შემდგომი გაღატაკება, პროდუქტებით მომარაგების მკვეთრი გაუარესება, ბევრ ქვეყანაში საბარათო სისტემის შემოღება.

კაპიტალისტური სამყაროს საერთო დამახასიათებელი ნიშანია ხალხის არა შემჭიდროება მორალურ-პოლიტიკურად, არამედ, პირიქით, კლასობრივ და ნაციონალურ წინააღმდეგობათა გამწვავება, გაფიცვების, დემონსტრაციების ტალღის აზვირთება, შეტაკებანი მუშათა კლასსა და მთავრობას შორის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზრდა.

მაშასადამე, კაპიტალისტურ ქვეყნებში სიძნელენი და წინააღმდეგობანი კი არ მცირდება და სუსტდება, არამედ, პირიქით, იზრდება და ღრმავდება.

ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური წყობილება უძლური აღმოჩნდა ომისშემდგომი სიძნელეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალისტური წყობილების საყრდენები სულერთიანად მომპალია და ირყევა.

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა სოციალისტური წყობილება, ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი წყობილება ყველაზე მძლავრი და სიცოცხლისუნარიანი წყობილებაა.

ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვება კომუნიზმის მშენებლობის საქმეში—ეს ლენინიზმის ზეიმია.

განვლილი წლის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი წარმატება ის არის, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად იმპერიალიზმის სისტემას ჩამოცილებული ახალი დემოკრატიის ქვეყნები — იუგოსლავია, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, რუმინეთი, ალბანეთი, უნგრეთი—მტკიცედ დაადგნენ განვითარების სოციალისტურ გზას, ლენინიზმის გზას.

ამიტომაც ეს ქვეყნები წარმატებით სძლევენ ომისშემდგომი პერიოდის სიძნელეებს, გეგმიანად, შინაგანი ძალებით, გარედან კაბალური სესხების მიუღებლად, წინათ ამ სახელმწიფოებისთვის უმაგალითოდ სწრაფი ტემპით აღადგენენ და ავითარებენ სახალხო მეურნეობას და წინ სწევენ კულტურას, განუხრელად ამაღლებენ ხალხის მატერიალური კეთილდღეობის დონეს.

ამიტომაც ამ ქვეყნებში ხალხი კი არ უპირისპირდება მთავრობას, არამედ, პირიქით, უფრო მჭიდროდ ირაზმება მის გარშემო, ავითარებს შემოქმედებით ინიციატივას, აჩაღებს შრომითს შეჯიბრებას სახელმწიფო გეგმით დასახული ამოცანების საუკეთესოდ შესრულებისათვის, იმედითა და რწმენით შეჰყურებს მომავალს.

ახალი დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი — ეს ლენინიზმის ზეიმია.

განვლილი წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ არა მარტო ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, არამედ მთელ მსოფლიოში გაიზარდა და მძლავრი ძალა გახდა კომუნისტური მოძრაობა, გაიზარდნენ და განმტკიცდნენ კომუნისტური პარტიები, რომელთაც ახლა აქვთ თავიანთი საინფორმაციო ბიურო. საინფორმაციო ბიუროს ჩამოყალიბებამ ძალა და გაბედულება შემატა მოძმე კომუნისტურ პარტიებს, რომლებიც ყველა ქვეყანაში სათავეში უდგანან დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ ძალებს და იბრძვიან ანტიდემოკრატიული, იმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

კომუნისტური მოძრაობის წარმატებანი ყველა ქვეყანაში—ეს ლენინიზმის ზეიმია!

ლენინის გარდაცვალების 24-ე წლისთავს აღვნიშნავთ მაშინ, როცა საბჭოთა ხალხი შეუდგა ახალი სტალინური ხუთწლედის მესამე წლის ამოცანათა შესრულებას. დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე მიმდინარე წელს. მრეწველობის განვითარების ტემპის დაჩქარება და ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის რეალური საფუძვლების შექმნა, სოფლის მეურნეობაში გასულ წელს მიღწეული აღმავლობის განმტკიცება და გაძლიერება, ტრანსპორტის მუშაობის კიდევ უფრო უკეთესად მოწყობა, გაშლილი საბჭოთა ვაჭრობის ორგანიზაცია, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება, მძლავრი წინსვლა მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, კულტურის დარგში,—აი რა მიმართულებით იმუშავებს საბჭოთა ხალხი წელს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სერიოზული ამოცანებია დასახული ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშეც. შარშან საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ თავი ისახელეს საუკეთესო მუშაობით, მოიპოვეს ბრწყინვალე გამარჯვებანი ქალაქადაც და სოფლადაც. ახლა ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი, მოვამზადოთ პირობები მომავალ წელს ხუთწლიანი გეგმის მთლიანად შესასრულებლად.

ჩვენი წინსვლის დაჩქარების დიდმნიშვნელოვანი პირობაა მასების კომუნისტური შეგნებულობის დონის ამაღლება. რაც უფრო მაღალია მასების შეგნებულობის დონე, რაც უფრო უკეთესად მოვაწყობთ ლენინისა და სტალინის დიადი მოძღვრების პროპაგანდას, მით უფრო მეტ წარმატებას მოვიპოვებთ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. მასების კომუნისტური შეგნებულობის მთავარი მაჩვენებელია მათი დამოკიდებულება შრომისადმი, მათი მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში. ლენინი ამბობდა:

„კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ჩნდება **უბრალო მუშების** თავდადებული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, **თვითეული ფუთი პურის, ნახშირის, რკინის** და სხვა იმ პროდუქტების დაცვისათვის, რომლებიც ხვდება არა პირადად მომუშავეებს და მათს „მახლობლებს“, არამედ „შორეულებს“, ე. ი. საერთოდ მთელ საზოგადოებას, ათეულ და ასეულ მილიონ ადამიანებს, გაერთიანებულთ ჯერ ერთ სოციალისტურ სახელმწიფოდ, შემდეგ კი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირად“.

სოციალისტური შეჯიბრების უმაგალითო ძალით გაჩაღება ნიშნავს იმას, რომ დიდად ამაღლდა მასების კომუნისტური შეგნების დონე, რომ ძირიანად შეიცვალა შრომისადმი დამოკიდებულება, რომ „უბრალო მუშების“, „უბრალო კოლმეურნეების“ ბრძოლამ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის საყოველთაო სახალხო ხასიათი მიიღო. ეს არის ჩვენი სწრაფი წინსვლის ურყევი საფუძველი.

ჩვენი დიადი სამშობლო ყველა გამარჯვებას აღწევს ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტიის წინამძღოლობით, ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი საბჭოთა წყობილების უპირატესობათა მეოხებით.

ჩვენი დიადი სამშობლო ყველა გამარჯვებას აღწევს დიდი ლენინის უძლეველი დროშით, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით.

ჩვენ წინ მივდივართ კომუნიზმისაკენ!

ჩვენ კომუნიზმისაკენ მივდივართ ლენინის დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით!

და, უეჭველია, როგორც ყოველთვის, ახლაც გავიმარჯვებთ—ავაშენებთ სრულ კომუნისტურ საზოგადოებას.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი

მხატვარ ი. კრინსის ნახატი.

მოსკოვი, კრემლი

## საბჭოთა ხალხის დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი სესია მხურვალე გულითად სალამს გიძღვნის თქვენ, ხალხთა დიდ მასწავლებელსა და ბელადს.

ღირსშესანიშნავ დღეებში შეიკრიბა ჩვენი სესია. საბჭოთა ხალხმა წარმატებით დაამთავრა 1947 წელი და შეუდგა 1948 წლის კიდევ უფრო პასუხსაგები და საპატიო ამოცანების შესრულებას. საბჭოთა ადამიანების მთელი ცხოვრება, მთელი მუშაობა მიმდინარეობს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის ნიშნით.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში საბჭოთა საქართველოს მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ ცხადჰყვეს თავიანთი მისწრაფება და მხურვალე პატრიოტული სურვილი — მიაღწიონ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ახალ აყვავებასა და აღმავლობას.

საარჩევნო კამპანია დაგვირგვინდა კომუნისტებისა და უპარტიოების მძლავრი სტალინური ბლოკის ახალი ბრწყინვალე გამარჯვებით. ხმას აძლევდნენ რა თავიანთ სახალხო კანდიდატებს, საქართველოს მშრომელები ხმას აძლევდნენ ბოლშევიკურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მშობლიურ საბჭოთა ხელისუფლებას, სოციალისტური მშენებლობის ახალ წარმატებებს, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებას.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა გული აღსავსეა უსაზღვრო სიხარულითა და სიამაყით. მათ წილად ხვდათ დიდი ბედნიერება აერჩიეთ თქვენ, მშობლიურო ამხანაგო სტალინ, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველ დეპუტატად.

თქვენს სახელთან განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა ხალხის უდიდესი წარმატებანი მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

უსაზღვროა თქვენი ზრუნვა საბჭოთა ქვეყნის მშრომელებისათვის. ამ მამობრივი მზრუნველობით გამსჭვალულია პარტიისა და მთავრობის ბრძნული გადაწყვეტილება ფულის რეფორმის გატარების, სასურსათო და სამრეწველო საქონელზე საბარათო სისტემის გაუქმების, ღია საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლის შესახებ, გადაწყვეტილება, რომელმაც უზრუნველჰყო ხალხის მასების მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი აღმავლობა. თქვენს ზრუნვას მშრომელთა ბედნიერებისათვის მთელი საბჭოთა ხალხი უპასუხებს დიად სამუშაოთა სტალინური პროგრამის შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ახალი მძლავრი გაჩაღებით, კომუნიზმის ზეიმისათვის ბრძოლაში ახალი გამარჯვებებით.

ჩვენ, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს ახლად არჩეული დეპუტატები, გამსჭვალული ვართ იმის ღრმა შეგნებით, რომ არ არსებობს უფრო მაღალი რამ, ვიდრე ხალხის ნდობა, ვიდრე ის პატივი, რომ მისი მსახური იყო. ჩვენი ამოცანების სიმაღლეზე რომ ვიდგეთ, ჩვენ განუხრელად შევასრულებთ თქვენს ისტორიულ მითითებებს დეპუტატის მოვალეობის შესახებ, იმის შესახებ, რომ დეპუტატი ლენინური ტიპის პოლიტიკური მოღვაწე უნდა იყოს.

მრავალმხრივი მოღვაწეობის ფართო ასპარეზია გადაშლილი თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატების წინაშე. ჩვენი ამოცანებია სტალინურად ვიზრუნოთ ხალხის საჭიროებისა და მოთხოვნილებისათვის, უზრუნველვყოთ თბილისის მრეწველობის შემდგომი წარმატებანი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში, უზრუნველვყოთ ქალაქის კეთილმოწყობისათვის, მოსახლეობის კულტურისა და კეთილდღეობის აღმავლობისათვის მუშაობის ახალი გაჩაღება.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ, განვახორციელებთ რა ამომრჩეველთა განაწესს, ჩვენ ბოლშევიკურად შევასრულებთ ჩვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე და მთელ ჩვენს ენერგიას, მთელ ცოდნას მოვახმართ ომისშემდგომი სოციალისტური მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელების საქმეს, ჩვენი დიადი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეს.

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას — მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას — საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს!

გაუმარჯოს მთელი ჩვენი ხალხის პირველ დეპუტატს, ხალხთა მასწავლებელსა და ბელადს—მშობლიურ **სტალინს!**

## დარბაზობა მოსკოვის პოლონეთის საელჩოში

19 იანვარს პოლონეთის რესპუბლიკის ელჩმა ბ-ნმა მ. ნაშკოვსკიმ დარბაზობა მოაწყო მოსკოვში მყოფი პოლონეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ: პოლონეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ი. ცირანკევიჩი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ვ. გომულკა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი ბ-ნი გ. მინცი, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ლ. გროსფელდი და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის მინისტრები ი. ვ. კოვალიოვი და დ. ვ. ონიკა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ი. ვიშინსკი და ვ. ა. ზორინი, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ა. დ. კრუტიკოვი და ი. ფ. სემიჩასტნი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში ვ. ზ. ლებედევი, საბჭოთა კავშირის მარშლები ს. მ. ბუდიონი, კ. ა. მერეცკოვი, ლ. ა. გოვოროვი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ა. ს. გუნდოროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა საზოგადოებრიობისა და საბჭოთა პრესის წარმომადგენლები.

სტუმართა შორის იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული საელჩოებისა და მისიების მეთაურები, აგრეთვე უცხოელი კორესპონდენტები. (საქდესი).

## საქართველოს სსრ დელეგაციის გამგზავრება საიუბილეო ზეიმზე ქალაქ კიევში

19 იანვარს თბილისიდან ქალაქ კიევში საბჭოთა უკრაინის 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაცია.

დელეგაციის ხელმძღვანელია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. გ. სტურუა. დელეგაციაში შედიან — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ჩერქეზია, სტალინური პრემიის ლაურეატი პოეტი გ. ლეონიძე, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე საბჭოთა კავშირის გმირი დ. ბაქრაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ჭავჭავაძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. ხარაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბ. კრავეიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ორაგველიძე. (საქდესი).

# ლენინის უკვდავება

ოცდაოთხი წელი გავიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ 1924 წლის იანვრის მოსკოვის დღეების სურათი კვლავ ახსოვთ დამსწრეთ. ჩვენ გვახსოვს, რა სიცივემ დაისადგურა ჩვენს გულში, როცა საშინელი ამბავი შევიტყეთ, გვახსოვს ძვირფასი სახე სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმული, უამრავი ხალხი ქუჩებში, დღისითა და ღამით ანთებული კოცონები. გვახსოვს ზამთრის სუსხი, თითქოს მთელი ბუნება გაეყინოს დიდ მწუხარებას. ხალხი ხუთ დღესა და ღამეს ეთხოვებოდა ბელადს, ხუთ დღესა და ღამეს სვეტებიან დარბაზში, სადაც იდგა კუბო ლენინის ცხედრით, ზღვა ხალხი მიედინებოდა.

— Текли. А стужа над землею
Такая лютая была,
Как будто он унес с собою
Частицы нашего тепла.

„...ყოველივე ის, რაც კი პროლეტარიატს ჭეშმარიტად დიადი და გმირული გააჩნია — უშიშარი გონება, რკინისებური, უდრეკი, შეუპოვარი, ყოვლისმძლე ნებისყოფა, წმიდა სიძულვილი, უაღრესი სიძულვილი მონობისა და ჩაგვრისადმი, რევოლუციური მგზნებარება, რაც მთებს შესძრავს ხოლმე, უსაზღვრო რწმენა მასების შემოქმედებითი ძალებისადმი, უდიდესი ორგანიზაციული გენია, — ყოველივე ამას დიდებულად განასახიერებს ლენინი, ვისი სახელიც გახდა ახალი მსოფლიოს სიმბოლო დასავლეთით აღმოსავლეთამდე, სამხრეთით ჩრდილოეთამდე“.

ასე ამბობდა გარდაცვლილ ბელადზე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის მიმართვაში ბოლშევიკებისადმი, ყველა მშრომელისადმი.

ლენინის დროშა, პარტიის დროშა მაღლა აღმართა და შემდგომ ატარა სტალინმა, ლენინის გამოჩენილმა მოწაფემ, ბოლშევიკური პარტიის საუკეთესო შვილმა, ლენინის ღირსეულმა მემკვიდრემ და მისი საქმის დიდმა განმგრძობმა.

1924 წლის 26 იანვარს გაიხსნა საბჭოების II საკავშირო ყრილობის სამგლოვიარო სხდომა. სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხანაგმა სტალინმა. მან პარტიის სახელით დასდო დიადი ფიცი: მაღლა გვეჭიროს და წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის დიადი სახელი; თვალისჩინივით დავიცვათ ჩვენი პარტიის ერთიანობა; დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა; მთელი ძალღონით განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი; განვამტკიცოთ და გავაფართოოთ რესპუბლიკათა კავშირი; განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი; ვიყოთ კომუნისტური ინტერნაციონალის პრინციპებისადმი ერთგულნი.

ეს იყო ბოლშევიკური პარტიის ფიცი თავისი მასწავლებლისა და ბელადის ლენინის წინაშე, რომელიც მარად იცოცხლებს. ამ ფიცს პარტია სტალინის ხელმძღვანელობით ღირსეულად ასრულებდა და ასრულებს.

* * *

ცოცხალივით წარმოგვიდგება ლენინი ყოველდღე, ყოველჟამს. უკვდავია ლენინის აზრი და ლენინის სიტყვა, და მარად ცოცხალია მისი იდეები. „აი ის ფიზიკურად აღარ არსებობს, — სწერდა მაქსიმ გორკი,—ხოლო მისი ხმა კიდევ უფრო მაღლა, უფრო ძლევამოსილად გაისმის მთელი დედამიწის მშრომელთათვის, და უკვე აღარ არსებობს დედამიწაზე ისეთი კუთხე, სადაც ეს ხმა არ აღძრავდეს მუშა ხალხის ნებისყოფას რევოლუციისადმი, ახალი ცხოვრებისადმი, თანასწორ ადამიანთა მსოფლიოს მშენებლობისათვის. სულ უფრო მეტი რწმენით, მტკიცედ, წარმატებით აკეთებენ დიად საქმეს ლენინის მოწაფეები, მისი ძალის მემკვიდრეები“.

უკვე ნახევარი საუკუნეა არსებობს, მუშაობს და იბრძვის ბოლშევიკების პარტია, რომელიც ლენინმა დააარსა; ამ პარტიის რიგებში ამჟამად ექვს მილიონზე მეტი კაცი ირიცხება. ბოლშევიკების პარტია ჩვენი ეპოქის გონება, პატიოსნება და სინდისია. არ არსებობს უფრო დიდი პატივი, ვიდრე ამ პარტიის წევრობა, დიდი პროლეტარული სტრატეგების არმიის, ლენინისა და სტალინის არმიის მებრძოლობა.

**ლენინის უკვდავება გამოიხატება ბოლშევიკთა საქმეებითა და გმირობით.** ლენინმა შექმნა ბოლშევიკური პარტია, აღჭურვა იგი მძლავრი სულიერი იარაღით. ლენინმა ოსტატურად შეუფარდა მარქსიზმი იმპერიალიზმის პირობებს, რუსეთის სინამდვილეს. „ლენინიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმია“. (სტალინი). ლენინიზმი ინტერნაციონალური მოვლენაა, მას ფესვი გადგმული აქვს მთელ საერთაშორისო განვითარებაში. პარტიის ყველაზე ძვირფასი კაპიტალია მისი იდეური სიმდიდრე, რომელიც შექმნილია რევოლუციის დიდი გენიოსების ლენინისა და სტალინის მიერ.

ყოველივე ის, რაც გვიანდერძა ჩვენგან წასულმა ბელადმა, ყოველივე ის, რაც ლენინურ მემკვიდრეობას შეადგენს, პარტიამ დაიცვა, როგორც თავისი უდიდესი განძი, დაიცვა ლენინიზმის მტრებთან სასტიკ ბრძოლებში, მოიტანა ჩვენს დრომდე, ლენინურ იდეათა დიადი ტრიუმფის დღეებამდე. პარტიამ ხალხის მასები წაიყვანა ახალი, დღემდე არსად ნახული ცხოვრების აშენებისათვის საბრძოლველად და სოციალიზმის გამარჯვებამდე მიიყვანა ისინი. პარტიის ნებისყოფამ და ენერგიამ გარდაჰქმნა ჩვენი სამშობლოს სახე. ნახევრადღატაკი და ნახევრადველური ქვეყანა, როგორიც მეფის რუსეთი იყო, მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცა. ეს დევგმირული სამუშაო პარტიამ შეასრულა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ხალხი სტალინში ხედავს ლენინის საქმის გენიალურ განმგრძობს, ლენინურ იდეათა ერთგულ დამცველს. სტალინი ავითარებს და ამდიდრებს ლენინის იდეებს ახალ ისტორიულ ვითარებაში მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე. ამხანაგმა სტალინმა იკისრა ქვეყნისათვის, ხალხისათვის, რევოლუციისათვის პასუხისმგებლობის გიგანტური ტვირთი, ლენინის მოძღვრების საფუძველზე ყოველმხრივ შეიმუშავა ჩვენი სამშობლოს სოციალისტური გარდაქმნის გრანდიოზული გეგმა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ გეგმის განხორციელებას.

ლენინი და სტალინი ჩვენთვის თითქოს ერთ სახედ იქცნენ. მათი გამოსახულება ერთად არის ჩვენს დროშებზე. მათი პორტრეტები ერთად ჰკიდია მუშის ბინაში, თუ გლეხის სახლში. სტალინს ლენინის გზით მიჰყვებოდა და მიჰყვება საბჭოთა კავშირის მილიონობით მშრომელი. მილიონობით ადამიანი საზღვარგარეთ იმედითა და სასოებით შეჰყურებს ჩვენი ბელადების უჭკნობ იდეებს. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება მთელი მსოფლიოს მშრომელებს აღმაფრთოვანებელ მაგალითად მიაჩნიათ.

* * *

**ლენინის უკვდავება გამოიხატება მის მიერ დაარსებული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს უძლეველი ძალითა და ძლიერებით.** ეს სახელმწიფო მოასწავებს კაცობრიობის ცხოვრებაში ახალი ეპოქის დასაწყისს. იგია მსოფლიოში პირველი სახელმწიფო, სადაც მთელი ძალაუფლება ეკუთვნის მშრომელებს და რომლის მთელი საზრუნავიც მხოლოდ მშრომელ ადამიანთა ინტერესებისათვის ზრუნვაა. ჩვენი ხალხის გზა ერთადერთი სწორი გზაა მშრომელთათვის, რომელთაც სურთ დაამსხვრიონ კაპიტალისტური მონობის ბორკილი, თავი დააღწიონ იმპერიალისტური ომების საშინელებას, მოსპონ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ბოლო მოუღონ ეროვნულ ჩაგვრას, ახალ, სამართლიან და გონივრულ საწყისებზე ააგონ ცხოვრება დედამიწაზე, ააგონ ადამიანის შესაფერი ცხოვრება.

ამ ცხოვრებამ გაიმარჯვა დედამიწის მეექვსედ ნაწილზე. ლენინის მიერ დაარსებული სახელმწიფოს გამოცდილების საუნჯიდან იკრებენ ძალას ახალი დემოკრატიის ქვეყნების ხალხები, რომლებიც მშრომელთა სასარგებლოდ გარდაჰქმნიან თავიანთ ცხოვრებას.

„შენი ანდერძის მიხედვით შესრულდა ყველაფერი“,—ასე ამბობს ხალხი, ლენინს რომ მიმართავს. ხალხური თქმულების სადა და ღრმა სიტყვებში ნაჩვენებია გზა, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა გამოიარეს ულენინოდ, სტალინის წინამძღოლობით. ვიაროთ წინ სოციალიზმის გზით, განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობა, მუშათა და გლეხთა კავშირი, განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება და მისი სამხედრო ძალა—ლენინის ეს ანდერძი განხორციელდა ჩვენი ქვეყნის რეალურ ცხოვრებაში. და როცა დღეს ჩვენი ხალხი თვალს გადაავლებს ულენინოდ გამოვლილ გზას, მას კანონიერი სიამაყის გრძნობით შეუძლია სთქვას, რომ ლენინის აზრისა და ნების მემკვიდრეებმა დიდი შრომა გასწიეს, ბევრი რამ გააკეთეს, ბევრი რამ განახორციელეს.

**ლენინის უკვდავება გამოიხატება დიდი საბჭოთა ხალხის სახელოვანი საქმეებითა და გმირობით.** ლენინმა თავის ხალხს უჩვენა მისი ისტორიული მისია და სახელისა და დიდების გზა. საჭირო იყო ბელადის გენიალური გამჭრიახობა და მისი ურყევი რწმენა ხალხისადმი, რომ დაენახა ხალხის მასებში მძლავრი ძალები ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ბევრი იყო „მასწავლებელი“ და „წინასწარმეტყველი“, რომლებიც ამცირებდნენ ხალხს, მოუწოდებდნენ მას მონურად მოეხარა ქედი ევროპის სხვა ერთა წინაშე.

რევოლუციონერ ლენინის ჭაბუკობის წლები იმ დროს დაემთხვა, როცა რუსეთი „გაყინული“ ჰყავდა ცარიზმს, როცა ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენელი მორჩილებისაკენ და ბოროტების წინააღუდგომლობისაკენ მოუწოდებდა ხალხს.

ლენინი საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე რუსეთის ცხოვრების იმ შავბნელ ხანაში გამოვიდა, რომელსაც „უდროობის ეპოქას“ უწოდებენ. იმ დროს ბლომად იყვნენ „მოციქულნი“, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ყოველივე, რაც არსებობს, გონივრულია, რომ საზოგადოება მუდამ ბატონებად და მონებად უნდა იყოს გაყოფილი, რომ მილიონობით ადამიანთა გაჭირვება, შიმშილი და ტანჯვა გარდუვალია და, მაშასადამე, კანონიერი, რომ ცხოვრების საშინელი სისაძაგლე დაუძლეველია და, მაშასადამე, აგრეთვე კანონიერია. ლენინმა სხვა, ახალი ცხოვრების პერსპექტივები დასახა. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ სთქვა მან წინასწარმეტყველური სიტყვები ახალი მსოფლიოს მშენებლობაში რუსი მუშების დიდი როლის შესახებ. ლენინმა განაცხადა, რომ რუსი მუშები დაირაზმებიან, სათავეში ჩაუდგებიან ყველა დემოკრატიულ ძალებს, დაამხობენ მეფის თვითმპყრობელობას და აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზით წავლენ ძლევამოსილი კომუნისტური რევოლუციისაკენ, რომ ისინი ყველა ქვეყნის პროლეტარებს უჩვენებენ ამ გზას.

ლენინი ჩვენ წარმოგვიდგება როგორც ხალხის დიდი შვილი და მისი გენიალური ბელადი, რომელსაც ღრმად სწამს რუსეთის ისტორიული დანიშნულება, მისი დიდი როლი მსოფლიო ისტორიაში, მსოფლიოს ბედიღბალში. საჭირო იყო ჭეშმარიტად არწივის თვალი, რომ XIX საუკუნის რუსეთში დაენახა ძალა, რომელსაც უნარი შესწევდა შეეცვალა უდიდესი ქვეყნის ისტორიის მთელი მსვლელობა, გარდაექმნა მისი ეკონომიური და სოციალური წყობა, გადაექცია იგი დიად სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელიც მთელი პროგრესული კაცობრიობის შუქურა გახდა.

„თავისი ხალხის ბუნების ცოდნა და იმის ცოდნა, თუ რა არის სასარგებლო მისი ქვეყნისათვის“, — ეს კეთილშობილური თვისება ახასიათებდა ლენინს. ათეული წლების მანძილზე მის მიერ დაწერილი წიგნების ფურცლებს რომ ვკითხულობთ, ვხედავთ, თუ რა წითელ ზოლად გასდევს ამ ფურცლებს მათი ავტორის პატრიოტული აზრი. ზედმიწევნით იცნობდა რა თავის ქვეყანას და თავის ხალხს, ლენინი ამკვიდრებდა მსოფლიოს ხალხთა შორის თავისი ხალხის დამოუკიდებელი ადგილის უფლებას, ეროვნული სიამაყის უფლებას. იგი რუსეთის მშრომელ ხალხს ასწავლიდა საკუთარი ძალებითა და საშუალებებით ეშენებინა თავისი ცხოვრება, ასწავლიდა ხალხს მზრუნველად დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა, არავის წინაშე არ მოეხარა თავისუფალი და ამაყი ქედი. იგი მშრომელ ხალხს უჩვენებდა, თუ რა ქონდრისკაცები იყვნენ ისინი, ვინც ფიქრობდა, რომ უფლება აქვს განაგებდეს ამ ხალხის ბედს. ლენინისათვის მექარხნე და მემამულე მარტო ექსპლოატატორი და მებატონე როდი იყო. მას ისინი ისეთ ადამიანებად მიაჩნდა, რომელთაც არ გააჩნიათ ეროვნული ღირსების გრძნობა. იგი ამხილებდა მათს შეთანხმებას უცხოეთის კაპიტალთან. იგი აღშფოთებული იყო, როცა ხედავდა, რომ რუსეთის წინანდელი ბატონები ბითუმად და ცალობით ჰყიდდნენ ჩვენს ქვეყანას საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალისტებს. ლენინი იყო თავისი ქვეყნის ნამდვილი თანმიმდევრული პატრიოტი, რომელსაც მგზნებარედ სურდა დამოუკიდებელი, თავისუფალი, ძლიერი და მძლავრი ენახა თავისი ქვეყანა.

* * *

ლენინის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან განჭვრიტა და სწორად შეაფასა ხალხის შემოქმედებითი ძალები და დაუსახა მშრომელთ ისეთი იდეები და ისეთი ამოცანები, რომელთა განხორციელებამაც კაცობრიობის ავანგარდში დააყენა ჩვენი ხალხი. ჩვენ ის რუსები აღარა ვართ, 1917 წლამდე რომ ვიყავით, არც რუსეთია ის რუსეთი, მაშინ რომ იყო! უკვე დიდი ხანია დადუმდა სკეპტიკოსთა ხმა „კრემლის მეოცნების“ ექსპერიმენტთა შესახებ. მეოცე საუკუნე მიმდინარეობს რუსეთში განხორციელებული დიდი სოციალისტური რევოლუციის იდეათა ნიშნით. ამ რევოლუციის იდეები თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული, მოწინავე იდეებია. საბჭოთა კავშირმა განახორციელა ადამიანთა საზოგადოების წარმატებითი გარდაქმნის დიადი ცდა. ჩვენს დროში ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიდის. ყველაზე მოწინავე აზრი ამჟამად მოსკოვის კრემლიდან მომდინარეობს. მსოფლიოს ყველა ქვეყნის მილიონობით მშრომელნი იმედით შეჰყურებენ კრემლს. და კრემლის კედელთან აღმართული მავზოლეუმი უძლეველი ძალით იზიდავს უბრალო და პატიოსან ადამიანთა გულს, რომელთაც ლენინი თავიანთ ერთგულ დამცველად, ბრძენ მასწავლებლად, დიდ მეგობრად მიაჩნიათ. ამ ადამიანებისათვის ლენინი უკვდავია. „თითქოს ცოცხალი ცოცხლებს ელაპარაკებათ“, იდგა იგი ასტურიის მაღაროელთა წინაშე, რომელნიც თავისუფალი ესპანეთის დროშით იბრძოდნენ, ფლორისდორფის გმირთა წინაშე, ჩინელ გლეხთა წინაშე, რომლებმაც იარაღი აისხეს თავიანთი შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინი უხილავად იყო იმათთან, ვინც მეორე მსოფლიო ომის დროს სათავეში ედგა წინააღმდეგობის არმიას იმ ქვეყნებში, რომლებიც გერმანელმა ფაშისტმა ავაზაკებმა დაიმონეს. ლენინი იმ ჩაგრულ ხალხებთანაა, რომლებიც იარაღით იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის. ლენინი იმათთანაა, ვინც მაღლა აღმართა დემოკრატიისა და სოციალიზმის დროშა, ვინც ახალი დემოკრატიის გამარჯვებას მიაღწია ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებში.

დიახ, ჩვენს საუკუნეში ყველა გზა კომუნიზმისაკენ მიდის. ახალი ნათელი მსოფლიოსათვის მებრძოლთა დიად არმიას სულ ახალ-ახალი ძალა ემატება. ამ ძალების ზრდა მრწოლას ჰგვრის რეაქციონერებსა და ბნელეთისმოციქულებს — ლენინის ძველ და მოსისხლე მტრებს. მათ სურდათ, რომ ცხოვრება ძველი კანონებით მიმდინარეობდეს, რომ მსოფლიოს ერთი მუჭა კაპიტალისტები განაგებდნენ, რომ მილიონობით მშრომელნი შეურიგდნენ ადამიანთა ჟლეტის სისტემას, იმპერიალიზმის სისტემის არსებობას, რომ მონები თავიანთ ბორკილის კმაყოფილი იყვნენ.

კაპიტალისტთა ხროვას ეშინოდა ლენინისა, როცა იგი ცოცხალი იყო, ამ ხროვას ეშინია ლენინისა მისი სიკვდილის შემდეგაც. მას ეშინია ლენინისა და სძულს იგი იმიტომ, რომ მისი სახე, მისი მოძღვრება, მისი იდეა, მის მიერ გამოჭედილი პარტია ბოლშევიკებისა, მის მიერ დაარსებული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო ხელს უშლიან კაპიტალისტებს აკეთონ თავიანთი ბნელი საქმე. ახალი ძალით იწყება იერიში ლენინიზმის წინააღმდეგ რეაქციის ბანაკიდან. ამ ბანაკს მობილიზებული აქვს სტამბის დაზგა, რადიო, კინო ლენინიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. მელნის ნაცვლად ცოფიანი დორბლით სწერენ ბურჟუაზიული პუბლიცისტები ლენინიზმის შესახებ.

მტრების ლანძღვა-გინება და ღვარძლი ვლადიმერ ილიას-ძეს თავისი სიმართლისა და ძალის დადასტურებად მიაჩნდა. ჩვენ „მოწონებად მიგვაჩნია არა ქების საამო ხმები, არამედ გაბოროტების ველური ღრიანცელი“, ნეკრასოვის ამ სიტყვებს ხშირად იმეორებდა ლენინი. ლენინურად ვეპყრობით ჩვენ დღეს სიცრუისა და ცილისწამების იმ კამპანიას, რასაც კაპიტალისტურ ქვეყნებში ეწევიან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ჩვენ მართალნი და ძლიერნი ვართ,—სწორედ ამიტომ ცოფსა ჰყრიან ჩვენდამი სიძულვილითა და გაბოროტებით შეპყრობილი ყველა ეს ჩერჩილები, დალესები, ბირნსები, ბლუმები და სხვანი. ჩვენ მართალნი და ძლიერნი ვართ,—და ჩვენ ვერ დაგვაშინებენ რაიმე მუქარით თუ პროვოკაციით. ჩვენ ტყუილად როდი აღგვზარდეს და გამოგვაწრთვეს ლენინმა და სტალინმა, რომელთათვისაც უცხოა შიში ბრძოლაში. არსებობს ქვეყნად დოლარზე უფრო ძვირფასი რამ. ეს ძვირფასი რამ მოეპოვებათ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას და ამ ქვეყნის დიად ხალხს. ეს არის ჩვენი დიადი მორალური ძალა.

„ლენინი ცოცხლობს ყველგან, სადაც რევოლუციონერები არიან. მაგრამ, შეიძლება ითქვას, არავინ ისე არ განასახიერებს ლენინის აზრსა და სიტყვას, როგორც სტალინი. სტალინი ლენინია დღეს“. ასე სთქვა ანრი ბარბიუსმა, რევოლუციური დასავლეთის მწერალმა. ამ სიტყვებში ცხოვრების ნამდვილი სიმართლეა.

მთელმა თაობამ სიამაყით უწოდა თავს ლენინური თაობა. და აი უკვე ახალი სტალინური მოდგმა გამოიზარდა ჩვენს ქვეყანაში. მილიონობით ადამიანი უმადლის სტალინს იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, მორალურ ზრდას. ეს ადამიანები გამოსცადა მეორე მსოფლიო ომის ქარიშხალმა. ამ ადამიანებმა ალტაცებაში მოიყვანეს მსოფლიო თავიანთი საბრძოლო და შრომითი გმირობით, განაცვიფრეს თავიანთი მამაცობით, გულადობით, სამშობლოსადმი სიყვარულით და იმ იდეებისადმი ერთგულებით, რომლებისთვისაც იბრძოდნენ ისინი მოსკოვთან და ლენინგრადთან, სტალინგრადის ქუჩებში და სევასტოპოლის ბასტიონებზე. გმირობა მასობრივი მოვლენა გახდა ჩვენს ქვეყანაში. სტალინური ეპოქის თაობამ მემკვიდრეობად მიიღო ის განსაცვიფრებელი თვისებანი, რომლებიც ლენინმა მოწინავე რუს მუშებს შენიშნა ნახევარი საუკუნის წინათ. ეს თაობა ჭეშმარიტად ახალი თაობაა. მან უკვე დაიმსახურა იმის უფლება, რომ უკვდავი იყოს საუკუნეთა მანძილზე. უკვდავია სტალინის საუკუნის გმირთა საქმენი და ღვაწლი. ეს საუკუნე ახალ-ახალ გმირს წარმოშობს. ამ გმირებს ეკუთვნის მომავალი. სწორედ ის მომავალი, რომელიც გამჭრიახი თვალით განჭვრიტა ლენინმა, მომავალი, რომლისთვის ბრძოლასაც მოახმარა მან თავისი გენიალური გონების მთელი ძალა და თავისი კეთილშობილი გულის მთელი სისხლი.

* * *

ოცდაოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც შესწყდა ლენინის გულისძგერა, მას შემდეგ, რაც დაიხუჭა მისი არწივისებური თვალები. მაგრამ ლენინი დღესაც ჩვენთან არის— ჩვენს ქარხნებში, ჩვენს მინდვრებში, ჩვენს ახალმშენებლობებზე, ჩვენს ბრძოლაში ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, ბოლშევიკური პარტიის ძალაში, რომლის მსოფლმხედველობაც ორასმილიონიანი ხალხის დროშა გახდა, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებაში. მისი სახე აღგვაფრთოვანებს შრომასა და გმირობაში. და როცა რევოლუციური დღესასწაულის დღეებში წითელ მოედანზე მივდივართ, გონების თვალით ვხედავთ ჩვენი სტალინის გვერდით ჩვენს ლენინსაც. კარგად სთქვა საბჭოთა პოეტმა ბელადის უკვდავების შესახებ:

„Ленин и „Смерть“—
слова—враги.
„Ленин и „Жизнь“—
товарищи

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მუდამ ვისწრაფვით ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ, ვიბრძოლოთ, გავიმარჯვოთ ისე, როგორც მუშაობდა, იბრძოდა, იმარჯვებდა ლენინი — რომელიც მარად არსებობს, მარად ცოცხლობს. ჩვენ რწმენით მივყვებით სტალინს, რომელსაც ლენინის გზით მივყავართ კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

**ი. რიაბოვი**

# ლენინი

1.

ცივი ზამთარი ორმოცდასამის,
მძიმე ჩექმები, საველე ჩანთა.
ავი ყავყავით ფრთას შლიდა სვავი
და ცაზე შავი ღრუბელი ჩანდა.

ჩვენ მივდიოდით და ირგვლივ გაშლილ
სივრცეს ვესროდით თვალებს
ტყვიებად
და გუგუნებდა ჩვენს სიმღერაში
ბოღმაც, რისხვაც და შურისძიებაც.

თუმც არ ბრწყინავდა სინათლე მზისა,
დავიწყებოდა გულს ტკბილი ფეთქვა,
ამ გზას არ ერქვა გზა სიკვდილისა,—
მას უკვდავების დიდი გზა ერქვა.

მას უკვდავების ერქვა დიდი გზა,
ამ გზას მისდევდა ჩვენი ლაშქარი.
— არ გაცივდნენო,—ნისლი დილისა
გვეხვია, როგორც დედის თავშალი.

— გაიმარჯვონო,—გზას გვილოცავდა
გზისპირს ხე, როგორც ადამიანი.
არწივთა ფრთების ლაღ შრიალს ჰგავდა
ქარში ნამეხარ ტოტთა შრიალი.

თუმც არ ბრწყინავდა სინათლე მზისა,
დავიწყებოდა გულს ტკბილი ფეთქვა,
ამ გზას არ ერქვა გზა სიკვდილისა, —
მას უკვდავების დიდი გზა ერქვა.

ვერას გვაკლებდა ტყვია წყეული,
რადგან სიკვდილთან კვეთების დროსაც
გვფარავდა მარად ცად აწეული
დიდი ლენინის ფრთალაღი დროშა.

დროშა იყო თუ ნისლს მისცელავდა
მზე სხივაყრილი გიუმაყი ფრენით?!
ის განთიადის ფერით ელავდა
და გამარჯვების მეწამულ ფერით.

ვერას გვაკლებდა ტყვია წყეული,
რადგან გვფარავდა იმ პირქუშ დროსაც,
სტალინის ხელით ცად აწეული,
დიდი ლენინის ფრთალაღი დროშა.

2.

გვახარებდა გამარჯვების
ზართა გრგვინვა მხედრებს
და ევროპის პირქუშ ღამეს
ჩვენი ხმლები ხევდნენ.

პრაღის ახლოს, როცა ბოროტს
ჩვენ კეთილით ვძლიეთ,
ვნახეთ ჩეხი ახალგაზრდა
დაეცხრილა ტყვიებს.

მებრძოლები გაოცებით
შესდგნენ მის წინ გუნდად...
ჩეხს სურათი ლენინისა
დაემალა გულთან.

თუმცა ეცვა მტრის ფარაჯა,
მტრის მუნდირი კრული,
ვერ ჩაექროთ ჩეხის გულში
მოძმის სიყვარული.

მისგან ცივი ავტომატი
განა გამოთალეს?!...
ის ერწმუნა, ენდო ლენინს,
ბრძენის ჭკვიან თვალებს.

ალბათ სურდა ეთქვა ჩვენთვის, —
მასაც კაცი ჰქვიან, —
მაგრამ, ვაგლახ, ჩააჩუმა
გერმანელის ტყვიამ.

და თუმც პრაღის ბინადარი
ჩვენს წინ იწვა უხმოდ,
გვეგონა რომ ხელგაშლილი
ისევ ჩვენებს უხმობს.

დავყურებდით მის ცივ სახეს
და ვიგრძენით მაშინ,
თითქოს ყველა დაჩაგრული
ამოგვიდგა მხარში.

3.

მიგვაფრენდა გამარჯვების
ზართა გრგვინვა მხედრებს.
გერმანიის პირქუშ ღამეს
ჩვენი ხმლები ხევდნენ.

მტერს მივდევდით და ვნატრობდით:
გამარჯვების ზარო,
ნეტავ მუდამ ხალხის გულში
რეკდე, იზანზარო.

ვინ არ იყო ჩვენს რიგებში,
მახვილს ვინ არ სცდიდა.
მზეჭაბუკი მზის ქვეყნიდან,
თუ ცივ არქტიკიდან.

მაგრამ ორგან შეეფიცა
სამშობლოსთვის ყველას.
ზოგს ეხილა გორში ნეტარ
ქოხზე ცისარტყელა,

ზოგს მოსკოვში ეთქვა ფიცი,
დიდ აკლდამის წინა,
სადაც მძიმე ბრძოლით მოღლილ
ლენინს მშვიდად სძინავს.

ვინ არ იყო ჩვენს რიგებში,
მახვილს ვინ არ სცდიდა,
მზეჭაბუკი მზის ქვეყნიდან,
თუ ცივ არქტიკიდან,

რომ სამშობლოს თბილი მიწა
მტრის შხამიან რკინას,
მტრის ცივ რკინას ვერასოდეს
ველარ დაეკბინა.

გუგუნებდა მკერდქვეშ გული,
სიხარულით სავსე,
როცა დროშა მარჯნის ფერი
რაიხსტაგის თავზე

მზედ ასტყორცნა ცაში რუსმა
და ქართველმა გმირმა
და მათ ფეხქვეშ შეწყდა მძიმე
ქვემეხების გმინვა.

გვალაღებდა, გვახარებდა
იმ დიდებულ დროსაც,
დროშა დიდი ლენინისა,
გამარჯვების დროშა.

4.

ბერლინის ბჭემდე ქარიშხლის რაშით
მტერს ისიც სდევდა ხმალამართული
და მთავარსარდლის ფოლადის ხმაში
მუდამ მისი ხმაც იყო ჩართული.

დღეს, როცა შრომით ვამაღლებთ
ცისკენ
ახალი ქარხნის ახალ ხარაჩოს,
ჩვენს დიდ მომავალს გვგონია, ისევ
მისი შუქმნათი თვალიც სდარაჯობს.

როცა თაროდან წიგნების ჯარი
შემოგვეგნთება შუქივით გულზე,
ოჯახში თითქოს ლენინი არი,
ბედნიერია ოჯახის ფუძე.

ომში მკლავნაცადს, მტრის მუსვრას
ჩვეულს
კვლავ აძლევს შრომის მრავალ
არჩევანს.
აარჩევს საქმით რჩეულთარჩეულს
და მის მარცხენა მკერდთან დარჩება.

განთიადისას მზედ აიწევა,
მიესალმება საზღვრად მდგარ მხედარს.
ფრთხილი ნაბიჯით სოფელში შევა,
ცრემლს მოსწმენდს ომში
შვილმოკლულ დედას.

კრემლში საყვარელ სტალინთან ერთად
ახალ ხუთწლედის დიდ გეგმას გაშლის;
ლონდონში მტრების გულგასაფლეთად
ამოუდგება მოლოტოვს მხარში.

5.

როგორც იტყოდა ძველად პოეტი, —
თუ გინდ წინ ზეცა ქაღალდად მედოს,
შენს საკადრისს ლექსს მე ვერ
ვპოვებდი
ზღვაო სიბრძნისავ და შემოქმედო.

შენ გაგვინათე მომავლის შარა,
მზის სანათური ხელში მოგვეცი.
კრემლის საათის ჟღერა კი არა,
კვლავ შენი გულის ფეთქვა მოგვესმის.

და შენზე ლექსი ვით დავასრულო,
სტრიქონს თარიღი როგორ მოებას,
ქარიშხლის სულო,
უკვდავო სულო,
ცისა და ქვეყნის უსაზღვროებავ,

რომ არ ვახსენო სახელი მისი,
ვინც შეხსნა ზეცის მეშვიდე კარი,
ქვეყანამ იცის,
მტერმაც კი იცის,
რომ დღეს ლენინი სტალინი არი!

**იოსებ ნონეშვილი**

# ოქროზე ძვირფასი

## (მებრძოლის დღიურიდან)

1943 წლის შემოდგომა იყო. ჩვენმა ნაწილმა პოლტავის ოლქის სოფელი გორდინშინა გაათავისუფლა გერმანელი ოკუპანტებისაგან. პატარა თეთრ უკრაინულ სახლში შევედით მე და მებრძოლი ალექსი ბიკოვი. თოვლივით გათეთრებული მოხუცი ოთახის კუთხეში გულმოდგინედ თხრიდა მიწას.

— ბაბუა, ოჯახის ქონება დამალე? — შევეკითხე.

— არა, შვილო!

— მაშ ოქრო თუ გაქვს შენახული?

— ოქროზე ძვირფასი!

ნეტავ რა უნდა იყოს. დავინტერესდით. მოხუცმა მიწაში ჩადგმული ყუთიდან წიგნი ამოიღო. ზედ ლამაზი ასოებით ეწერა „ლენინ“.

— ჩემო შვილებო, — სთქვა მოხუცმა, — რაც კი რამ გამაჩნდა, ყველაფერი გერმანელებმა წაიღეს, მაგრამ ამ ნივთის შენახვა კი შევძელი. ვიცოდი, რომ ვიდრე ეს წიგნი ჩემთან იქნებოდა, ყოველთვის მექნებოდა რწმენა, რომ ჩვენები კვლავ დაბრუნდებოდნენ მშობლიურ უკრაინაში. მართალი ხალხი იმარჯვებს — ასე სწერია ამ წიგნში. და აი კიდეც დაბრუნდით. ლენინი ჩვენი ცხოვრების ნათელი გზაა, ჩვენი უკეთესი მომავალია. მისი აზრებით აყვავდა ჩვენი სამშობლო, მისი აზრებით ვიმარჯვებთ ახლაც.

ვინაობა ვკითხეთ მოხუცს.

— ლავრენტი ნეჩედა! — გვიპასუხა.

ასე სწამს ლენინი ნეჩედას, ასე სწამს იგი მილიონებს.

**ა. გეწაძე**

# დიად საფლავთან

## 24 მილიონმა ინახულა ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი

ათასობით მშრომელმა ინახულა ამ დღეებში წითელ მოედანზე ლენინის მავზოლეუმი, რათა პატივი ეცა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დიდი ორგანიზატორისა და ბელადის ხსოვნისათვის.

ზამთრის მზის სხივებში ბრწყინავს მავზოლეუმის გაკრიალებული გრანიტი. მასზე მოსჩანს კრემლის ქონგურებიანი კედლებისა და კოშკების, წერწეტა ნაძვების ანარეკლი. დიად საფლავთან მიდიან მოსკოვის საწარმოთა მუშა-მოსამსახურენი, სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლების მოწაფეები, სტუდენტები, პროფესორები, საბჭოთა არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები. აქ იყვნენ ადამიანები საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან — უკრაინის მინდვრების სტახანოველი ქალები, უზბეკეთის მებამბეები, დონბასის მეშახტეები, მაგნიტოგორსკის მსხმელები, ლენინგრადის მეცნიერები, შორეული ჩრდილოეთისა და მთიანი პამირის მცხოვრებნი...

ქუდმოხდილნი, ღრმა დუმილით შედიან ისინი მავზოლეუმში და ნელა ჩადიან გრანიტის საფეხურებზე. ღრმა მღელვარებით გაივლიან სარკოფაგის წინ, ყურადღებით აკვირდებიან ილიჩის დაუვიწყარ ნაკვთებს, ცდილობენ სამუდამოდ აღიბეჭდონ გულში მისი სახე.

საბჭოთა ხალხი წმიდად ინახავს ლენინის ხსოვნას. ჩვეულებრივ დღეებში მავზოლეუმს სულ ცოტა 5,000 მოსკოველი და ჩამოსული ნახულობს. ლენინის დღეებში კი ბელადის საფლავთან მშრომელნი მასობრივად მიდიან. ლენინის მავზოლეუმს ახლა დღეში 15,000-ზე მეტი კაცი ნახულობს.

სულ მავზოლეუმი 24 მილიონამდე კაცმა ინახულა. (საქტესი).

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი

მხატვარ პ. ვასილიევის ნახატი

# მისი სახე უმშვენებს მკერდს

ჭიათურა. წუხელ მთელი ღამე თოვდა. წყლიანია თოვლი, მხოლოდ კლდეებზე შესძლო ფეხის მოკიდება, გადაუთეთრებია სახლების სახურავებიც.

კარგა ხანია გათენდა, მაგრამ ბურუსი ჯერ არ მიმოფანტულა.

ოთახში შემოვიდა ხმელხმელი, საშუალოზე ოდნავ დაბალი ტანის კაცი. სცმელი იყო ყავისფერი ტყავის პალტო, შავი მაღალყელიანი ჩექმები ეცვა. შეიხსნა პალტო, გამოჩნდა თეთრი გახამებული პერანგის საყელო.

მოგვესალმა. მოიხადა ქუდი. შუბლის ზემოთ შესთხელებია შავი თმა.

იგი ეს-ეს არის ჩამოვიდა სოფელ ითხვისიდან. უსაყვედურა ჩემს მასპინძელს:

— შინ მოგელოდით! არც ისე ძნელია ჩემს სახლამდე ამოღწევა; მაღაროში სამუშაოდ ყოველდღე ჩემი სახლიდან დავდივარ. ხომ იცი, ლონგინოზ,—თვალში თვალი გაუყარა ჩემს მასპინძელს ახლად მოსულმა — სადგურ დარკვეთიდან ვიდრე საჩხერემდე მიაღწევდეს მატარებელი, მე უკვე შინ ვარ. ჩემთან ამოხვიდოდი სტუმრიანად, მომილოცავდი ქალიშვილის შეძენას... ეჰ, ვერ არის კარგი, რომ არ ამოხვედით!

მივხვდი. ეს იყო, ვის სანახავადაც ჩამოვედი:

სახელმოხვეჭილი ჭიათურელი მნგრეველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი — კალენიკე ლავთაძე.

* * *

ვერ წარმოიდგენ, თუ ასეთი, შედარებით სუსტი აგებულების ადამიანი ასეთი მოუქანცველი და მძლავრი მარჯვენის პატრონია. მაგრამ მოძრაობის სისწრაფე, რომელიც მას ახასიათებს, თავდაპირველად მიღებულ შთაბეჭდილებას ჩქარა აქარწყლებს.

ლაპარაკობს მოკვეთილად, ხატოვანი ქართულით, ისევე, როგორც ყოველი იმერელი; იგი არ ეძებს სიტყვებს, რათა აზრი მოხდენილად გამოსთქვას; მისი მჭევრმეტყველება და გონებამახვილობა ბუნებრივია და გაჯერებს, რომ ეს კეთილი და გონებაგახსნილი ადამიანი შრომის ჭეშმარიტი ოსტატია.

და თითქოს ეს ამბავი არცაა გასაოცარი, რადგან ამ ოცდამეთექვსმეტე წელში გადამდგარ ვაჟკაცს მაღაროელის ოცდაორი წლის სტაჟი აქვს.

სოფელი ითხვისი, მთაგორიანი და დაფერდილი, რვა კილომეტრითაა დაშორებული ქალაქ ჭიათურას. ლამაზი, მაგრამ ღარიბი სოფელი იყო წინათ ის. ერთი ღარიბი ითხვისელი გლეხის გიორგი ლავთაძის ოჯახს ვაჟიშვილი შეეძინა. ეს პირველი შვილი იყო და მას კალენიკე შეარქვეს. 1912 წელი იყო. ვაჟიშვილის შეძენამ თავისებური სიხარული დაამკვიდრა ოჯახში, მაგრამ სიხარულს მალე გადააჭარბა სიდუხჭირემ. მოვლასა და აღზრდა-პატრონობას თხოულობდა ბავშვი. გიორგი ლავთაძის ოჯახი კი ისეთი ხელმოკლე იყო, რომ ბავშვის ხეირიანად აღზრდის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

მაინც მოიწადინა მამამ ნასწავლი გამოსულიყო მისი შვილი. სკოლა სოფელშივე იყო და პატარა კალენიკე იქ მიიყვანეს. სხვისი წიგნი, სხვისი რვეული, სხვისი საწერ-კალამი და ფანქარი!—ასე დაამთავრა კალენიკემ ოთხწლიანი სასწავლებელი.

ადრე მოათავებინეს სწავლა კალენიკეს. ოჯახს კიდევ შეეძინა ვაჟიშვილი და ახლა უფრო მეტი საზრუნავი გაუჩნდა გიორგი ლავთაძეს. ამიტომ უფროსი ვაჟიშვილი კალენიკე, რომელიც სრული თოთხმეტი წლისა შეიქნა, მამამ ჭიათურის მაღაროებში წაიყვანა სამუშაოდ...

* * *

თოთხმეტი წლის ყმაწვილი ოცდაორი წლის წინათ, 1924 წელს სამუშაოდ მივიდა ჭიათურის ოცდამეთორმეტე მაღაროში.

ამ ამბავს არავითარი გაოცება არ გამოუწვევია მაღაროელებში. აქ მრავლად მუშაობდნენ კალენიკეს ხნის ყმაწვილები ცხენის გამყოლებად და ამწმენდთა დამხმარედ.

დღითი დღე იცვლებოდნენ ეს ყმაწვილები, ზოგს ემძიმებოდა სამუშაო და სტოვებდა მას, ზოგიც სხვა მაღაროში მიდიოდა სამუშაოდ, კალენიკე კი, მივიდა თუ არა, ფეხმოუცვლელად დამკვიდრდა ოცდამეთორმეტე მაღაროში. ეს მარდი ყმაწვილი ყველას ეხმარებოდა, ყველგან უწვდებოდა ხელი, მნგრეველსაც ჰშველოდა, ამწმენდსაც, თავის თანატოლ ცხენის გამყოლებსაც. ამიტომაც განსაკუთრებით შეიყვარეს მაღაროელებმა.

ეს პატარა ბიჭი ყველაზე უფრო სწრაფად ერეკებოდა ცხენებს მაღაროს გულიდან დღის სინათლეზე — რკინიგზის ლიანდაგამდე და როცა თავისი ცარიელი ვაგონებით უკან მობრუნდებოდა, ხშირად მნგრეველსა და ამწმენდს არც კი ჰქონდათ მომზადებული მარგანეცი დასატვირთავად. მაშინ მოუსვენრობდა უწვერულვაშო მაღაროელი, თავად იწყებდა მადნის გამონგრევას და ვაგონებში ჩაყრას.

მხოლოდ ოცდაერთი დღე იმუშავა კალენიკე ლავთაძემ ცხენის გამყოლად. ერთი თვეც ამწმენდად იმუშავა ახალგაზრდა მაღაროელმა.

* * *

მაშინ ასეთი ხელსაწყოები როდი იყო. არც მუშაობის პირობები იყო ასეთი: განსაზღვრულ დროს მუშაობდა მნგრეველი, ამწმენდი თუ ცხენის გამყოლი და მათ განსაზღვრული ხელფასი ჰქონდათ. ცხადია, ეს ანელებდა სურვილს უფრო მონდომებითა და მეტი ნაყოფიერებით ემუშავათ მაღაროელებს.

თანდათან იცვლებოდა მუშაობის პირობები, დღითიდღე იწვრთნებოდა და ოსტატდებოდა კალენიკე ლავთაძე. ვერც ამწმენდნი და ვერც ცხენის გამყოლნი ველარ ახერხებდნენ დროზე გაეტანათ მის მიერ მონგრეული მადანი მაღაროდან. შორს გახმაურდა წარჩინებული მაღაროელის სახელი.

...დიდი ზეიმი იყო საქართველოში 1941 წლის თებერვალში. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დღესასწაულობდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავს. ჭადარა კრემლი, დიდი რუსეთი, ჩვენი თვალუწვდენი საბჭოთა სამშობლოს მშრომელები მიესალმებოდნენ ბედნიერ ქართველ ხალხს. უდიდესი იყო ამ დღეს ჭიათურელი მაღაროელის კალენიკე ლავთაძის სიხარული: ის ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

მიესალმებოდნენ და ულოცავდნენ უმაღლეს ჯილდოს შრომის ოსტატს მაღაროელნი!

* * *

ომის წლებში განსაკუთრებით ისახელა თავი კალენიკე ლავთაძემ.

თავდაპირველად ფრონტზე წასვლა ჰქონდა გადაწყვეტილი. მეგობრებმა დაარწმუნეს, რომ მისი მარჯვენა აქ, ჭიათურის მაღაროებშია საჭირო, და უკვე სახელმოხვეჭილი ოსტატი მეტი მონდომებითა და მთელი გულით მიეძალა შრომას, არ იცოდა შემოღამება და ცისკრის მოახლოება, მუშაობდა იმდენს, რამდენიც საჭირო იყო.

ომისდროინდელი მუშაობის ერთი ეპიზოდი გაიხსენა ოსტატმა: 1944 წელს კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში არ სრულდებოდა გეგმა, ეს კი მთლიანად ჭიათურის აუზის ჩამორჩენას იწვევდა. დიდხანს არ უფიქრიათ— კალენიკე ლავთაძეს დაავალეს დროებით ემუშავნა ამ მაღაროში. და ყველას ახსოვს, რა სწრაფად გამოსწორდა მდგომარეობა იქ. და განა შეიძლებოდა სამშობლოს ერთგულ შვილს არ ემუშავნა თავგამეტებით მაშინ, როცა მისი თანატოლნი პირისპირ ებრძოდნენ მტერს, როცა ფრონტი მეტსა და მეტ საჭურველს მოითხოვდა, და როცა ეს მებრძოლი ვაჟკაცები ამ ჭიათურას, ამ საყვარელ მაღაროებს იცავდნენ! უკვე მირეკილი იყო მტერი თავისსავე ბუნაგში, მოახლოებული იყო მისი მოსრესის დრო!

გაჩაღდა მუშაობა კაგანოვიჩის სახელობის მაღაროში. აქ ოსტატობდა კალენიკე ლავთაძის მარჯვენა.

ფრონტზე მეომარი და ზურგში გმირულად მომუშავე თანაბრად ვალმოხდილია დედა-სამშობლოს წინაშე.

* * *

სოფელ ითხვისში, გიორგი ლავთაძის ეზოში, ახალი აივნიანი იმერული ოდა დგას. ეს სახლი ახლო წარსულში აშენდა. ეზოში ბავშვები დაცქრიალებენ. ამ სახლში ორი ოჯახი ცხოვრობს — კალენიკე და ნიკოლოზ ლავთაძის ოჯახი. კალენიკეს უმცროსი ძმა ნიკოლოზიც მაღაროელია, ცვლის უფროსად მუშაობს.

ძმებს ეზოში აქვთ გამოყვანილი წყაროს წყალი. ვრცელი ეზო დამშვენებულია ვენახითა და ხეხილით. ოთხი ათასი ძირი ვენახის ნერგი თვითონ ჩაჰყარა კალენიკე ლავთაძემ. იგი ცნობილი მევენახეცაა და ხეხილის მყნობელიც. და ყოველი ხილი, რომელიც კი იმერეთის მიწა-წყალზე ხარობს, აქ შეგიძლიათ ნახოთ; განთქმულია ძმები ლავთაძეების მიერ დაყენებული „ქვიშხური", „ციცკა" და „ძველშავი".

წელგამართული ოჯახი აქვს კალენიკე ლავთაძეს. ყველაფერი მისი უმწიკვლო და დაუზარელი შრომით არის მოპოვებული! მან შრომით გაიკაფა გზა მაღაროში ცხენის გამყოლიდან პირველხარისხოვან მნგრეველამდე...

ამ ოსტატმა დროს კარგა მანძილით გაუსწრო:

1947 წლის სექტემბერში კალენიკე ლავთაძემ შეასრულა ის სამუშაო, რაც გეგმით 1950 წლისათვის უნდა შეესრულებინა. ამჟამად ოსტატი 1951 წლის გეგმის შესრულებაზე მუშაობს.

იგი ყოველდღიურ გეგმას სამასორმოცდაათი-ოთხასი პროცენტით ასრულებს: თხუთმეტი-თექვსმეტი ტონის ნაცვლად ცვლაში ორმოცდაათიდან სამოც ტონამდე მარგანეცს ანგრევს. ასეთი ოსტატის გასამრჯელო თვიურად დაახლოებით რვა ათას მანეთს უდრის.

რა შორს მოიტოვა უკან კალენიკე ლავთაძემ მამისეული ღარიბღატაკი ცხოვრება!

მას წიგნი ენატრებოდა და წიგნი არა ჰქონდა, რვეული და საწერ-კალამი ენატრებოდა და არა ჰქონდა. ამჟამად მისი სამი შვილია სკოლაში. სამივე ჩინებულად სწავლობს. არც წიგნი აკლიათ, არც რვეული, არც საწერ-კალამი.

ცეცხლისა და ჭრაქის სინათლეზე კითხულობდა კალენიკე ნათხოვარ წიგნს. ახლა ელექტრომუქითაა განათებული მისი ოდა. რადიოთი თბილისსა და მოსკოვს უსმენენ პატარები, ტელეფონით ურეკავენ მაღაროში მამას...

არა, წიგნს არ გააგდებინებს ხელიდან თავის შვილებს კალენიკე ლავთაძე, — თბილისსა და მოსკოვში გაგზავნის სასწავლებლად, სამთო ინჟინერი, ექიმი და მასწავლებელი იქნებიან კალენიკე ლავთაძის შვილები...

ახლა მოსკოვში წასასვლელად ემზადება ხალხის მსახური. ახსენდება დაუვიწყარი შეხვედრები ამომრჩევლებთან ჩიხასა და ჯალაურთაში, მოძვსა და კორბოულში, ნავარზეთსა და პერევისაში. მშრომელი ხალხი ირჩევდა თავის წარმომადგენელს ჩვენი სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში. მათ ერთგულად მისცეს ხმა სახელმოხვეჭილ მაღაროელს.

აღფრთოვანებული მიემგზავრება კალენიკე ლავთაძე მოსკოვს, რადგან იცის, რომ იქ ნახავს თანატოლსა და თანამებრძოლს იმ უდიდესი ადამიანისას, რომლის სახე უმშვენებს მას მკერდს... ნახავს მშობლიურ სტალინს, რომელმაც გმირობისა და სახელის საქმედ აქცია შრომა და რომლის მიერ გაღვივებული ნაპერწკალი ახლა ჩაუქრობელ მზედ ანთია ჭიათურაში.

**ა. თარიშვილი**

ჭიათურა, იანვარი.

# ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი

ამხანაგ სტალინის ინიციატივით შექმნილი ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმი მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის უდიდესი ცენტრია.

მუზეუმში უხვად მოიპოვება მასალები, რაც საჭიროა მსოფლიოს უდიდესი ადამიანების — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ბოლშევიკური პარტიის ისტორიისა და თეორიის შესასწავლად. მუზეუმში გულმოდგინედ თავმოყრილი ეს მასალები პირველხარისხოვან როლს ასრულებენ მშრომელთა იდეურად აღზრდაში, ეხმარებიან მათ დაეუფლონ ბოლშევიზმს, უნერგავენ ჩვენი პარტიისა და მისი დიდი ბელადებისადმი სიყვარულს და ერთგულებას.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების პირველ წლისთავზე ამხანაგი სტალინი სწერდა: „გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი". მრავალმილიონობით საბჭოთა ადამიანი სწავლობს ლენინს მისი ნაშრომების, სტალინის ნაწარმოებთა, ცენტრალური მუზეუმის დოკუმენტებისა და მასალების მიხედვით. მუზეუმის გახსნის პირველი დღეებიდანვე მრავალათასობით ადამიანი ყოველდღე ათვალიერებს მუზეუმს. 1947 წელს მუზეუმი 650 ათასამდე კაცმა დაათვალიერა. ბევრი დამოუკიდებლად ეცნობა ექსპონატებს. მასობრივი მოვლენაა ექსკურსიები. 1947 წლის განმავლობაში მოწყობილია დაახლოებით 9.000 მიმომხილველი და თემატური ლექცია-ექსკურსია.

მიმომხილველი ექსკურსიები აცნობენ მსმენელებს დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებიც ცხადჰყოფენ ბოლშევიკების დიადი პარტიის დამაარსებლისა და ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ვ. ი. ლენინის შესანიშნავ ცხოვრებასა და მოღვაწეობას. მუზეუმში თავმოყრილი დოკუმენტები განსაკუთრებული ძალით ცხადჰყოფენ რევოლუციის ორი გენიოსის — ლენინისა და სტალინის დიად თანამეგობრობას.

ხელახლა შემუშავდა მიმომხილველი ექსკურსიის სამი ვარიანტი: „ლენინისა და სტალინის დიადი იდეური და საბრძოლო თანამეგობრობა", „ლენინი და სტალინი — ხალხის მასების ბელადები" და ექსკურსიები 5-7 კლასების მოსწავლეთათვის.

თემატური ექსკურსიები მიძღვნილია ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარკვეული ეტაპებისადმი ან ლენინისა და სტალინის ცალკეული ნაწარმოებებისადმი. ეს საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება ღრმად და დეტალურად იქნას შესწავლილი დოკუმენტები, ხელნაწერები, წერილები, სტატიები, წიგნები, ფოტოსურათები და სხვა მასალები.

მიმომხილველი და თემატური ლექცია-ექსკურსიები უდიდესი დოკუმენტალური მასალის საფუძველზე უჩვენებენ მილიონობით საბჭოთა ადამიანს ლენინისა და სტალინის ცხოვრება-მოღვაწეობას, როგორც ხალხისადმი თავდადებული სამსახურის ნიმუშს. ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიის შესწავლა საბჭოთა ადამიანებს უნერგავს სოციალისტური სამშობლოს და ბოლშევიკური პარტიისადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობას.

მუზეუმი დიდ დახმარებას უწევს მსხვილ პროპაგანდისტებს. პროპაგანდისტი აქ პოულობს დოკუმენტებს, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა შემოქმედებითად ავითარებდნენ მარქსისტულ მოძღვრებას ლენინი და სტალინი, განუწყვეტლივ სრულჰყოფდნენ მას ახალ ისტორიულ პირობებში. „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ენგელსის სიკვდილის შემდეგ უდიდესი თეორეტიკოსი ლენინი, ხოლო ლენინის შემდეგ — სტალინი და ლენინის სხვა მოწაფეები — იყვნენ ერთადერთი მარქსისტები, რომლებიც წინ სწევდნენ მარქსისტულ თეორიას და რომლებმაც გაამდიდრეს იგი ახალი გამოცდილებით პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალი პირობებში". („საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია, მოკლე კურსი", გვ. 465).

ლენინიზმი, რომელმაც უდიადესი პერსპექტივები გადაუშალა კაცობრიობას, რუსული და მსოფლიო კულტურის უმაღლესი მიღწევაა. ლენინიზმი, რასაც ი. ბ. სტალინი შემოქმედებითად ავითარებს, პროგრესის გზებს უჩვენებს ყველა ხალხს, რაზმავს საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის. მუზეუმში მიმსვლელნი ხედავენ, თუ როგორ სწყვეტდნენ ლენინი და სტალინი თავიანთ ნაწარმოებებში მუშათა რევოლუციური მოძრაობის თეორიის, სტრატეგიისა და ტაქტიკის უდიდესად მნიშვნელოვან საკითხებს, რომ მათი ნაშრომები ისტორიულ აუცილებლობას წარმოადგენდნენ, აიარაღებდნენ პარტიასა და მუშათა კლასს ექსპლოატატორთა დამხობისა და სოციალიზმის აგებისათვის საბრძოლველად.

ფრიად საგულისხმოა ლენინისა და სტალინის მუშაობის მეთოდები, მუშაობის ლენინურ-სტალინური სტილი. აი, მაგალითად, ვლადიმერ ილიას-ძის სტატია „ახალი ამოცანები და ახალი ძალები", დაწერილი 1905 წელს. ვლადიმერ ილიას-ძე შეუპოვრად და გულმოდგინედ მუშაობს გეგმის შედგენაზე, სწერს მის შვიდ ვარიანტს, გულმოდგინედ ჰკრებს საჭირო მასალებს, ფიქრობს სტატიის სახელწოდების შერჩევაზე, რათა ეს სახელწოდება ყველაზე უკეთესად შეესაბამებოდეს ძირითად შინაარსს: „საჭირბოროტო საკითხები", „სამი გადასასვლელი", „სამი ეტაპი", „სამი უღელტეხილი" და, დასასრულ, სათაური ნაპოვნია—„ახალი ამოცანები და ახალი ძალები". მუზეუმის VII დარბაზში გამოფენილია ვ. ი. ლენინის ნაშრომის — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის" ხელნაწერის ფურცლები. თვითონ ვლადიმერ ილიას-ძის ხელით შესრულებული მთელი რიგი ნახაზ-დიაგრამები ცხადჰყოფენ, თუ როგორ ვითარდებოდა მსოფლიო მეურნეობა XX საუკუნის პირველ ათწლეულში. ვიტრინებში არის ვ. ი. ლენინის მიერ თავისი ნაშრომისათვის გამოყენებული ასობით წიგნი და სტატია.

პროპაგანდისტთა სემინარების მუშაობა მუზეუმში არა მარტო ამაღლებს ჩვენი პროპაგანდისტთა კადრების იდეურ-თეორიულ დონეს, არამედ კიდევაც უწყობს ხელს წრეების ხელმძღვანელობაში საჭირო მეთოდურ ხერხთა გამომუშავებას, ნერგავს თვალსაჩინო მასალებსა და დოკუმენტების გამოყენების ცოდნას. 1947 წელს მოწყობილია 39 ასეთი სემინარი, 16 სემინარი მეცადინეობას განაგრძობს.

ვ. ი. ლენინის ცენტრალურმა მუზეუმმა დიდი სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა შეასრულა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოთხე გამოცემის გამოსვლასა და ი. ბ. სტალინის თხზულებათა კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით.

თითქმის ყველა დარბაზში შეტანილია ლენინისა და სტალინის ახალი დოკუმენტები, რომლებიც საშუალებას იძლევიან უფრო სრულად გაშუქდეს ლენინისა და სტალინის საბრძოლო, იდეური თანამშრომლობა. მაგალითად, II დარბაზში [illegible] ლება, რომელიც [illegible] ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისს. V დარბაზის ექსპოზიციაში შეტანილია მთელი რიგი მასალები, რომლებიც ხელს უწყობენ უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ ნაშრომთა შინაარსის ზედმიწევნით შესწავლას: ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" და სტალინის „ანარქიზმი თუ სოციალიზმი". გარდაქმნილია აგრეთვე VI დარბაზის ორი განყოფილების ექსპოზიცია: „ამხანაგ სტალინის უკანასკნელი გადასახლება" და „ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პროგრამის დამუშავება ლენინისა და სტალინის მიერ". გაუმჯობესდა IX დარბაზის ექსპოზიციის შინაარსი, კერძოდ, გარდაიქმნა განყოფილება, რომელიც შეიცავს ვ. ი. ლენინის ნაშრომს „სახელმწიფო და რევოლუცია".

მუზეუმის ექსპოზიცია და ფონდები შევსებულია მრავალი ახალი მხატვრული ნაწარმოებით. მათ შორის არის მხატვარ პრაგერის მიერ შესრულებული პორტრეტი ახალგაზრდა სტალინისა, მხატვარ მოდოროვის „პარტიზანები სადარბაზოდ ამხანაგ სტალინთან", მხატვარ სვეიცკის ნახატი „პერეკოპის იერიში", მხატვარ კიბრიკის სურათების სერია, სპილოს ძვლის ორი ბარელიეფი „ვ. ი. ლენინი" და „ი. ბ. სტალინი" — მხატვარ ნ. სოკოლოვისა და სხვ. ხელოვნების დარბაზში მოწყობილია გამოჩენილი მხატვრის ნ. ანდრეევის სკულპტურისა და სურათების გამოფენა.

მუზეუმი დიდ მუშაობას ეწევა თვალსაჩინო პროპაგანდის დარგში, ამზადებს ალბომებს, ფოტოგამოფენების გამოცემას და სხვ. მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელ საკავშირო საზოგადოებასთან ერთად მუზეუმმა მოაწყო მთელი რიგი ლექციები: „ლენინი და სტალინი — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბელადები და სულისჩამდგმელნი", „ლენინის სახე მხატვრულ ლიტერატურაში", „ლენინის სახე თეატრში", „ლენინის სახე კინოში", „ვ. ი. ლენინის ნაშრომის — „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიის"—გამოსვლის 30 წლისთავის გამო", „ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი წლები" და სხვ.

ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმს, მთელ მის მრავალფეროვან საქმიანობას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. მასალები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა დიადი და ძნელი გზა განვლეს ჩვენმა ქვეყანამ და ჩვენმა პარტიამ, მასალები, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავენ ლენინ-სტალინის იდეათა ყოვლისძლე ძალას, კაცობრიობის უდიდეს გენიოსთა სიბრძნესა და გამჭრიახობას, ძვირფასია ყველა იმისათვის, ვინც იბრძვის კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის, კომუნიზმისათვის. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი მოძღვრება ნამუშალებას გვაძლევს გავერკვეთ უაღრესად რთულ ვითარებაში, გავიგოთ მოვლენათა შინაგანი კავშირი, განვჭვრიტოთ ამ მოვლენათა მსვლელობა.

24 წელმა განვლო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების შემდეგ. უკვდავია ლენინის სახე, მისი ანდერძი და აზრები, რაც განსახიერებულია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხალხის საქმეებში, დიდი სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობაში, კომუნიზმის ძლევამოსილ მშენებლობაში.

**ნ. იუშკევიჩი,**

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის დირექტორის მოადგილე

# საკოლმეურნეო სოფლის მოწინავენი—ლენინის ორდენოსნები

ძვირფასი კულტურების — ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს მოსავლიანობის ზრდის გეგმები ყოველწლიურად წარმატებით სრულდება მახარაძის რაიონში. ამ წარმატებათა მოპოვებაში დიდი წვლილი შეაქვთ სოფელ ნატანების ბერიას სახელობის, სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობებს, მათს ლენინის ორდენოსან თავმჯდომარეებს ვ. ჯაბუას, მ. ორაგველიძესა და თ. კვაჭაძეს.

ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა კოლმეურნეთა ბეჯითი შრომით, თავმჯდომარის ამხ. ჯაბუას უნარიანი ორგანიზატორული მუშაობით ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში, ცნობილია მთელ რესპუბლიკაში. ჩაი და ციტრუსები კოლმეურნეობის წამყვანი კულტურებია და მათ მოვლა-პატრონობასა და მოსავლიანობის ზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ აქაური კოლმეურნეები. ამის ნათელსაყოფად მარტო გასული წლის შედეგებს აღვნიშნავთ. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 744.374 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 200 ათასი კილოგრამით მეტი, ვიდრე ეს სახელმწიფო გეგმით იყო გათვალისწინებული, 16 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, 3 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. ჩაისა და ციტრუსების ამ უხვმოსავლიანმა კოლმეურნეობამ სიმინდიც ყველაზე მეტი მიიღო. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 27,5 ცენტნერი სიმინდი.

შარშან ნატანებელმა კოლმეურნეებმა პირველმა შემოიღეს ჩაის ბუჩქის წუწნუხით მორწყვა და ჩაის ფოთლის მოსავლიანობის ზრდის საქმეშიც შესანიშნავ შედეგებს მიაღწიეს.

ახლა ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში გაჩაღებულია მუშაობა. კოლმეურნეები საგაზაფხულო სამუშაოებისათვის ემზადებიან, რათა წელს კიდევ უფრო უხვი მოსავალი მიიღონ, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობას საზამთროდ უნდა შეებარა 160 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ფაქტიურად 208 ჰექტარია შებარული. პლანტაციაში შეტანილია ფოსფოროვანი სასუქის სრული დოზა.

მოსავლიანობის ზრდის გეგმას ყოველწლიურად გადამეტებით ასრულებს განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა. შარშან სიმინდის მოსავლის გეგმა კოლმეურნეობამ 160,3 პროცენტით გაანაღდა, საშუალოდ ჰექტარზე 13 ცენტნერის ნაცვლად 21 ცენტნერი სიმინდი მიიღო. ზოგიერთ ფართობზე მიღწეულია სარეკორდო მაჩვენებლები. მაგალითად, 15,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე აღებულია 71 ცენტნერი სიმინდი. კოლმეურნეობამ ჩაის კულტურის მოსავლიანობის გეგმა 155 პროცენტით შეასრულა, ციტრუსებისა და ტუნგოსი—120 პროცენტით, აბრეშუმის პარკის დამზადებისა — 119 პროცენტით.

მახარაძის რაიონს სხვებიც ჰყავს ლენინის ორდენოსნები. შვიდი წლის წინათ ლიმმანტრესტის ურეკის საბჭოთა მეურნეობაში მყნობელმა შ. გოგუაძემ ციტრუსების მყნობის ახალი მეთოდის გამოყენებით საკავშირო რეკორდი დაამყარა და დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით. ამჟამად ამხ. გოგუაძე ურეკის სახელმწიფო სანერგეს ხელმძღვანელობს და წარმატებით ასრულებს დავალებას ციტრუსის ნერგით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის საქმეში.

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ლენინის ორდენოსანი შ. გიგიბერია ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე პრაქტიკულად იყენებენ მის მიერ დადგენილ მეცნიერულ ღონისძიებებს.

დიდი სამამულო ომის მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი გურიანთელი კოლმეურნე ვასილ კვაჭანტირაძე ორგზის ლენინის ორდენოსანია. იგი ახლა თავისი სოფლის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. კოლმეურნეობა წარმატებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს. ახლა კოლმეურნეობაში ფართოდ გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება 1948 წელს უხვი მოსავლის მისაღებად.

მახარაძის რაიონი 6 წელია ზედიზედ იმარჯვებს სოციალისტურ შეჯიბრებაში. მარტო გასულ წელს მახარაძელმა კოლმეურნეებმა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 876.900 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და 13 მილიონ ცალზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი. პარტიის მახარაძის რაიკომს მეექვსე წელია ხელთ უპყრია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ წარმატებებში მცირე წვლილი როდი მიუძღვით ლენინის ორდენოსნებს, რომლებიც პატრიოტული მუშაობის, ლენინ-სტალინის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულის ნიმუშებს იძლევიან.

**ლ. ლოლაძე**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს (მეორე მოწვევის) პირველი სესია

გუშინ, 20 იანვარს, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს (მეორე მოწვევის) პირველი სესიის საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგის დეპუტატ ვ. ი. ჩომახიძის მოხსენების გამო „სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმებასთან დაკავშირებით თბილისში საბჭოთა ვაჭრობის გაშლის შესახებ“. კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა მ. მ. ლელაშვილმა, ო. ვ. სერდიუკოვმა და ნ. ე. თუშიშვილმა.

დეპუტატებმა თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს პარტიისა და მთავრობის 1947 წლის 14 დეკემბრის ისტორიული დადგენილების განხორციელებისათვის დედაქალაქში გაწეული მუშაობის საკითხებს. მათ აღნიშნეს, რომ ამ ღირსშესანიშნავი დადგენილების პრაქტიკულად გატარებისათვის თბილისში ბევრი რამ გაკეთდა. განსაკუთრებით გაფართოვდა პურის სავაჭრო ქსელი. უბარათო ვაჭრობაზე გადასვლის დღისათვის თბილისში 200 პურის სავაჭრო იყო. საგრძნობლად გადიდდა აგრეთვე საპროდუქტო და სამრეწველო მაღაზიების, სასადილოებისა და სასაუზმეების რაოდენობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მაღაზიების კეთილმოწყობას.

შესამჩნევად გაუმჯობესდა საკოლმეურნეო ბაზრების მუშაობაც. ერთიორად შემცირდა ისეთი აუცილებელი მოთხოვნილების პროდუქტების ფასები, როგორიცაა: კარაქი, მცენარეულის ზეთი, რძე, კარტოფილი, ხორცი და სხვა.

დეპუტატებმა ამ მიღწევებთან ერთად აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. ჯერ კიდევ დაბალია გამომცხვარი პურის ხარისხი, ხშირ შემთხვევაში მოუწესრიგებელია ფქვილისა და გამომცხვარი პურის გადაზიდვის საქმე, ზუსტად არ არის დაცული გამომცხვარი პურის მაღაზიებში შეზიდვის გრაფიკი. ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოწესრიგებული ვაჭრობის ორგანიზაცია თბილისის ცენტრალურ უნივერმაღსა და მის ფილიალებში. ასევე ითქმის მთელ რიგ საპროდუქტო მაღაზიებზეც.

საქართველოს მილიციისა და პროკურატურის ორგანოებმა გააძლიერეს ბრძოლა სპეკულანტების წინააღმდეგ. სპეკულაციის შემთხვევები მაინც არის. ჩვენი სავაჭრო ქსელი ჯერ კიდევ ვერ გაწმენდილა უღირსი მუშაკებისაგან. ადგილი აქვს მომხმარებელთა ზომაწონაში მოტყუებას.

დეპუტატებმა ყურადღება გაამახვილეს საქონლის ასორტიმენტსა და პროდუქციის ხარისხზე. მათ გააკრიტიკეს ზოგიერთ სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც დაინტერესებული არიან გეგმის რაოდენობრივი შესრულებით და ნაკლებად ზრუნავენ ასორტიმენტსა და ხარისხზე. ხარისხის გაუმჯობესებისათვის სერიოზული მუშაობა მართებთ არა მარტო მსუბუქი, ადგილობრივი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებს, არამედ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ქვემდებარე საწარმოებსაც.

ვაჭრობის დარგში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სავაჭრო განყოფილებას ჯერ კიდევ არ გადაუდგამს სერიოზული ნაბიჯი.

მოხსენების გამო სათანადო ღონისძიების დასახვის შემდეგ სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ს. გ. კობალაძის მოხსენება. მან აღნიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნები ყველა საარჩევნო უბანში ჩატარდა საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების შესაბამისად.

მქუხარე ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდნენ დეპუტატები მომხსენებლის სიტყვებს იმის შესახებ, რომ თბილისის მშრომელებმა საქალაქო საბჭოს პირველ დეპუტატად უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლები: ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი, ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, ანდრია ალექსანდრეს-ძე ჟდანოვი, გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი, ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი თევდორე ივანეს-ძე ტოლბუხინი.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან მოწინავე მუშები, სტახანოველები, მოსამსახურეები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები. მათ შორის 5 საბჭოთა კავშირის გმირია, 5 სოციალისტური შრომის გმირი და 7 სტალინური პრემიის ლაურეატი. 468 დეპუტატი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

არჩეულ დეპუტატთა შორის საკავშირო კ. პ. (ბ) წევრები და წევრობის კანდიდატები შეადგენენ 56,94 პროცენტს, ხოლო უპარტიოები — 43,06 პროცენტს.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად არჩეულია 184 ქალი, რაც დეპუტატთა 36,01 პროცენტს შეადგენს. ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების სრულუფლებიანი და აქტიური მონაწილეა.

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცების შემდეგ სესია გადადის მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნებზე.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ სესიამ ერთხმად აირჩია დეპუტატი გ. ა. გოჩაშვილი.

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეულ იქნენ დეპუტატები: ა. ი. ჩიტაიშვილი, ბ. ი. კიზირია და მ. გ. მემარნიშვილი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მდივნად არჩეულ იქნა დეპუტატი შ. რ. ბაქრაძე.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრებად არჩეულ იქნენ დეპუტატები: ვ. გ. ბარამიძე, ნ. კ. ბარკალაია, ვ. ბ. გოგუა, ბ. პ. გოგოძე, ვ. დ. ეპიტაშვილი, კ. ს. ზავრიევი, ს. გ. იარალოვა, რ. ი. კაჭარავა, ნ. ა. ოდიშელი, ვ. კ. პანიევი, ზ. ა. ქურდიანი, ტ. კ. ქუთათელაძე, ე. ი. ჩერქეზია და დ. ა. ჭიჭინაძე.

სესიამ დაამტკიცა აღმასკომის განყოფილებათა გამგეები. შეიქმნა 9 მუდმივმოქმედი კომისია და დამტკიცდა მათი შემადგენლობა.

სესიამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისასალმებელი დეპეშა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

ამით დაამთავრა სესიამ თავისი მუშაობა.

# ბაზრებში ერთდროული გადასახდელისა და მომსახურების ფასის განაკვეთების შემცირება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაწესებულია ბაზრებში ერთდროული გადასახდელის ახალი განაკვეთები.

საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროში აცნობეს:

— ერთდროული გადასახდელის ახალი განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირებულია. მაგალითად, ხელზე, ფარდულში, ხელის ურიკებზე, მაგიდებზე ვაჭრობისას გადასახდელის ოდენობა შემცირებულია ორნახევარჯერ-სამჯერ. მნიშვნელოვნად შემცირებულია აგრეთვე ერთდროული გადასახდელის განაკვეთები ავტომანქანებსა ან ურმებზე ვაჭრობისას, პირუტყვის გაყიდვისას და სხვ.

ამავე დროს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ შეამცირა ფასის ზღვრული განაკვეთები იმ მომსახურებისათვის, რასაც ბაზრების დირექცია უწევს კოლმეურნეობებს, გლეხებსა და სხვა პირებს, რომლებიც ბაზრებში ვაჭრობენ — ხორცის დაჭრისათვის, სასწორის და სხვა ინვენტარის მიცემისათვის, სანსპეცტანსაცმლით სარგებლობისათვის და სხვა. ერთიორად და ერთისამად შემცირებულია ზღვრული განაკვეთები ბაზრების სპეციალურ შენობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახავად. ამ განაკვეთების ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები აწესებენ ბაზრებში გაწეული მომსახურებისათვის ფასის მტკიცე განაკვეთებს. მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ბაზრის ფასების დონე, საქონლის შემოტანის მდგომარეობა, ბაზრების კეთილმოწყობა, სეზონურობა და სხვა ადგილობრივი პირობები.

როგორც ცნობილია, ბარათების გაუქმებისა და ერთიანი სახელმწიფო საცალო ფასების შემოღების შემდეგ, ფასები ბაზრებში მკვეთრად შემცირდა. ერთდროული გადასახდელისა და მომსახურების ფასის განაკვეთების შემცირება არსებით შეღავათს უქმნის ბაზრებში მოვაჭრეთ და, უეჭველია, ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემოტანის შემდგომ გადიდებას და საბაზრო ფასების შემცირებას.

# ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგები ამერიკის შეერთებულ შტატებში

**ნიუ-იორკი**, 18 იანვარი. (საქდესი). ორ მასობრივ მიტინგს, რომელიც 14 იანვარს ამერიკის კომპარტიამ მოაწყო ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 24 წლისთავთან დაკავშირებით, 8 ათასამდე კაცი დაესწრო.

ათასობით ადამიანმა ვერ მოახერხა იმ შენობებში შესვლა, სადაც მიტინგები იყო. კომპარტია იძულებული გახდა დაექირავებინა ორი დარბაზი მას შემდეგ, რაც ყველაზე დიდი აუდიტორიის — მედისონ სკვერ გარდენის პატრონებმა უარი სთქვეს დაეთმოთ იგი მიტინგის ჩასატარებლად.

ამერიკის კომპარტიის ლიდერმა ფოსტერმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ უოლ-სტრიტის მონოპოლისტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აჩაღებენ ომს, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს „გაცილებით უფრო დიდი სამხედრო კატასტროფა ჩვენს ისტორიაში“. მან ბრალი დასდო ტრუმენს ომის გამჩაღებლობასა და შინაპოლიტიკურ დემაგოგიაში და განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ომს ეწევიან საბერძნეთსა და ჩინეთში. ახალი მესამე პარტია, სთქვა ფოსტერმა, მილიონობით პასიურ ამომრჩეველს დარაზმავს და ბევრ ხმას შეაგროვებს ხაზგებში, ფერმერებსა და მუშებში.

დამსწრენი მოწონების შეძახილებით შეხვდნენ ფოსტერისა და დენისის განცხადებებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაში უოლესის, როგორც მესამე პარტიის კანდიდატის გამოსვლა, ნიშნავს ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი პარტიის შექმნას, რომელიც ომისა და მონოპოლიების წინააღმდეგ გამოდის.

# „გაიყვანეთ ჩინეთიდან ამერიკის ჯარები!“

## ინგლისისა და ამერიკის საწინააღმდეგო დემონსტრაციები შანხაიში

**შანხაი**, 18 იანვარი. (საქდესი). კოულუნის ამბების გამოხმაურება შანხაიში ანტიიმპერიალისტური დემონსტრაციებით გამოიხატა. 16 იანვარს საღამოს ძიაოტუნის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე შესდგა მიტინგი, რომელსაც შანხაის უნივერსიტეტების ხუთი ათასზე მეტი სტუდენტი დაესწრო. გუშინ დილით შესდგა მიტინგები, რომლებზეც სტუდენტებმა მწვავედ დაჰგმეს გომინდანის მთავრობის დამღუპველი საგარეო პოლიტიკა და მოითხოვეს, რომ ჩინეთის ხელისუფლებმა გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიონ ინგლისელ იმპერიალისტებს კოულუნში.

ქალაქში გაკრულია ინგლისისა და ამერიკის საწინააღმდეგო პლაკატები, ლოზუნგები და კარიკატურები. არის აგრეთვე გომინდანის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული ლოზუნგები, პლაკატები და კარიკატურები.

ინგლისის საკონსულოს ტერიტორიაზე მოწყობილია გაძლიერებული საპოლიციო დაცვა.

**შანხაი**, 18 იანვარი. (საქდესი). გუშინ შანხაიში მოხდა ინგლისისა და ამერიკის საწინააღმდეგო მძლავრი დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტების 10 ათასზე მეტმა სტუდენტმა და საშუალო სკოლების მოსწავლემ. ყველგან გამოყვანილი იყო პოლიციის რაზმები.

ქვაფენილებზე, სახლების კედლებსა და ქალაქის საქმიანი ნაწილის ლობეებზე გაკრული იყო ანტიიმპერიალისტური ლოზუნგები და კარიკატურები. ინგლისური ფირმების ფანჯრებსა და კედლებზე ზეთის საღებავებით დაწერილი იყო ინგლისის საწინააღმდეგო ლოზუნგები. სტუდენტებმა ხელთ იგდეს ამერიკის საზღვაო შტაბის ვესტიბიული, ხოლო შტაბის შენობის ფასადსა და ფანჯრებზე დაწერილი იყო ამერიკის საწინააღმდეგო ლოზუნგები.

სტუდენტთა მიტინგმა ინგლისის საკონსულოსა და ამერიკის საზღვაო შტაბის შენობების წინ ოთხ საათზე მეტ ხანს გასტანა.

გუშინდელი დემონსტრაცია შანხაიში შემდეგი ლოზუნგებით მიმდინარეობდა: „გაიყვანეთ კოულუნიდან ინგლისის ჯარები!“, „გაიყვანეთ ჩინეთიდან ამერიკის ჯარები!“, „ძირს მთავრობა, რომელიც თავის ხალხს არ იცავს!“.

შანხაიში სტუდენტთა დემონსტრაციამ საღამოს 7 საათამდე გასტანა. ინგლისის საკონსულოდან დემონსტრანტები მთავარი ქუჩისაკენ გაემართნენ. მათ გაიარეს ნანკინ-როდი და ტიბეტ-როდი.

დემონსტრანტთა დელეგაციამ მოითხოვა, რომ ინგლისის კონსული გამოსულიყო დემონსტრანტებთან და რომ ინგლისის ალამი ჩინეთის ალმით შეეცვალათ. სტუდენტთა ჯგუფი შეეცადა ჩამოეხსნა ინგლისის ალამი და იგი ჩინეთის ალმით შეეცვალა, მაგრამ შეიარაღებულმა პოლიციელებმა სტუდენტები ფლაგშტოკთან არ მიუშვეს. სახელმწიფო გერბები ინგლისის საკონსულოს ჭიშკარზე შავი საღებავით გასვარეს. საღამოსათვის დემონსტრაციამ გადამწყვეტი ხასიათი მიიღო.

ამერიკის სარდლობამ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს უბრძანა, შენობებიდან არ გახვიდეთო.

საღამოს შესდგა მიტინგი, რომელსაც 3 ათასზე მეტი სტუდენტი დაესწრო.

18 იანვარს დემონსტრაციები დილიდანვე დაიწყო. სტუდენტები და საშუალო სკოლების მოსწავლეები სატვირთო მანქანებით, რომლებზეც გაკრულია ბრიტანეთისა და ამერიკის საწინააღმდეგო ლოზუნგები, საფრანგეთის ყოფილი კონცესიისა და სეტლმენტის ქუჩებში დადიან.

**ნანკინი**, 18 იანვარი. (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტოს კანტონიდან მიღებულ ცნობაში ნათქვამია, რომ 16 იანვარს კოულუნიდან ჰონკონგის ხელისუფალთა მიერ ჩინელი მოქალაქეების გამოსახლების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 16 იანვარს კანტონში დაწყებული დემონსტრაცია კანტონის ერთ-ერთ რაიონ შამინში მღელვარებად გადაიქცა. ცეცხლი წაუკიდეს და დასწვეს ინგლისის ტყვრი შენობა. ხანძრის შედეგად ძლიერ დაზიანდა ინგლისის გენერალური საკონსულოს შენობა კანტონში. ინგლისის ინფორმაციის სამინისტროს განყოფილება, კომპანია „ბატერფილდ ენდ სვაიერის“ და ჰონკონგის საავიაციო კომპანიის შენობები. დაჭრილია რამდენიმე ინგლისელი და ჩინელი მოქალაქე.

სააგენტოს სიტყვით, ამ ამბებთან დაკავშირებით, გუანდუნის პროვინციის გუბერნატორმა სუნ ძი-ვენმა განაცხადა, რომ „მღელვარების ხელმძღვანელები მკაცრად დაისჯებიან“ და რომ „გამოყენებულ იქნება ძალა ასეთი ამბების თავიდან ასაცილებლად“.

# შეთანხმება ინდონეზიაში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ

**ჯაკარტა**, 18 იანვარი. (საქდესი). გუშინ ხომალდ „რენვილზე“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს კომისიის მონაწილეობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას ინდონეზიის რესპუბლიკასა და ჰოლანდიას შორის დროებითი ზავის შესახებ. შეთანხმებაში ნათქვამია, რომ ხელმოწერის შემდეგ ორივე მხარემ 48 საათის განმავლობაში ცალცალკე და ერთდროულად სათანადო ბრძანება უნდა მისცეს თავის ჯარებს, რომლებიც იმყოფებიან ეგრეთწოდებულ ვან მოოკის სადემარკაციო ხაზებზე. ეს ხაზები, როგორც ცნობილია, ჰოლანდიის ხელისუფლებმა 1947 წლის 29 აგვისტოს გამოაცხადეს. ჯარები უნდა დარჩნენ ყველა იმ პოზიციაზე, რომლებიც მათ ამჟამად უკავიათ. ჰოლანდიისა და ინდონეზიის ჯარებს შორის უნდა დაწესდეს დემილიტარიზებული ზონა. უშიშროების საბჭოს კომისია ორივე მხარისათვის გამოჰყოფს თავის სამხედრო ექსპერტებს დემილიტარიზებული ზონის დასაწესებლად. დემილიტარიზებულ ზონაში პასუხისმგებლობა უშიშროებისათვის დაეკისრებათ სამოქალაქო პოლიციის ძალებს.

შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ უნდა განხორციელდეს 14 დღის განმავლობაში. ჰოლანდიელების მიერ იავასა და სუმატრაზე ოკუპირებული ტერიტორია ჰოლანდიელებს რჩებათ, როგორც ეს აღნიშნული იყო ჰოლანდიის 1947 წლის 28 აგვისტოს განცხადებაში, მთელი ის ტერიტორია იავასა და სუმატრაზე, რომელზეც ჰოლანდიის გეგმა არ ვრცელდება, დღეიდან რესპუბლიკის კონტროლში უნდა იქნეს. სამხედრო პოლიციის ქვეგანაყოფებს ვან მოოკის სადემარკაციო ხაზზე გადასვლის უფლება არა აქვთ. სამხედრო ძალებს უფლება არა აქვთ შევიდნენ დემილიტარიზებულ ზონაში, სადაც მთელი ძალაუფლება სამოქალაქო პოლიციის ხელში უნდა იქნეს.

**ჯაკარტა**, 18 იანვარი. (საქდესი). ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე გუშინ ორივე მხარემ თავის ჯარებს მისცა წინასწარი ბრძანება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ. შემდეგ ჯარები მიიღებენ უფრო დაწვრილებით ბრძანებასა და ინსტრუქციებს.

**ჯაკარტა**, 18 იანვარი. (საქდესი). ინდონეზიური გაზეთები თავიანთ კომენტარებში დროებითი ზავის ცნობების შესახებ იმედგაცრუებას გამოხატავენ. სურაკარტის რადიო გადასცემს, რომ რესპუბლიკა აიძულეს მიეღო ჰოლანდიის წინადადებანი, და ეს მისთვის უკანგადადგმული ნაბიჯია.

**ჯაკარტა**, 18 იანვარი. (საქდესი). ჰოლანდიის გავლენიანი წრეები კმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ, ბოლოს და ბოლოს, მათ მოახერხეს სამი სახელმწიფოს კომისიის მხარდაჭერით ეიძულებინათ ინდონეზიის რესპუბლიკა მიეღო წინადადებანი ჰოლანდიისა და არა სამი სახელმწიფოს კომისიისა, რომელმაც ორი უკანასკნელი თვის განმავლობაში სამი სხვადასხვა პროექტი შეიტანა. როგორც ცნობილია, სამივე პროექტი მიიღო ინდონეზიის რესპუბლიკამ, მაგრამ უარჰყვეს ჰოლანდიელებმა.

# რუმინეთ-ბულგარეთის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ

**ბუქარესტი**, 18 იანვარი. (საქდესი). ბუქარესტის რადიომ გუშინ გადასცა ტექსტი ხელშეკრულებისა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც ხელმოწერილია ბუქარესტში 1948 წლის 16 იანვარს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ.

ხელშეკრულება აღნიშნავს, რომ „რუმინელი და ბულგარელი ხალხების ტრადიციული მეგობრობა მტკიცე საფუძველს წარმოადგენს ხანგრძლივი თანამშრომლობის დასამყარებლად, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და ბალკანეთში და დუნაის აუზში მშვიდობის განმტკიცების, აგრეთვე საყოველთაო მშვიდობის დამყარების მიზნით“. ორივე ქვეყანაში დემოკრატიული რეჟიმის დამყარების მეოხებით, აღნიშნულია ხელშეკრულებაში,—რუმინეთსა და ბულგარეთს შორის ყველა გადაუჭრელი საკითხი საბოლოოდ ლიკვიდირებულია ამ ორ ხალხს შორის გულწრფელი მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის სულისკვეთებით, რაც მტკიცე საწყისებს ემყარება.

რუმინეთი და ბულგარეთი, რომელთაც მხედველობაში აქვთ ამ ორი ქვეყნის საერთო კეთილდღეობა, შეთანხმდნენ მომავალში მჭიდროდ ითანამშრომლონ ყველა დარგში და ითათბირონ იმ საკითხებზე, რომლებიც მათი ხალხებისა და ურთიერთობის ბედს ეხება, ამ ორ ხალხს შორის ძმური მეგობრობის სულისკვეთებით.

ისინი ერთსულოვნად მიიღებენ ყოველ ღონისძიებას, რაც საჭიროა უშიშროების, ეროვნული დამოუკიდებლობისა და მათი ტერიტორიების ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით რუმინეთი და ბულგარეთი შეთანხმდნენ ყველა იმ მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხზე, რომლებიც ეხება ამ ორი ქვეყნის ინტერესებს ან მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებს, და იმოქმედებენ გაერთიანებული ერების წესდების სულისკვეთებით.

იმ შემთხვევაში, თუ გერმანია ან რომელიმე სხვა მესამე სახელმწიფო, ნათქვამია ხელშეკრულებაში, თავს დაესხა ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს, რათა ხელჰყოს მისი ეროვნული დამოუკიდებლობა, დაიპყროს, ან წაართვას ტერიტორიის ნაწილი, ხელშეკრულების მონაწილე მეორე მხარე დაუყოვნებლივ გაუწევს თავდასხმის მსხვერპლ ქვეყანას სამხედრო დახმარებას, ან რაიმე სხვა დახმარებას ყველა საშუალებით, რაც მის განკარგულებაშია.

ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს არ დასდოს რაიმე კავშირი ან მონაწილეობა არ მიიღოს რაიმე მოქმედებაში, რომელიც მიმართული იქნება მეორე მხარის წინააღმდეგ.

რუმინეთი და ბულგარეთი ვალდებულებას კისრულობენ მათი საერთო ეკონომიური განვითარების ინტერესებისათვის განახორციელონ მჭიდრო თანამშრომლობა მათი ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში. ამ მიზნით ისინი შეათანხმებენ თავიანთ ეკონომიურ გეგმებს და მიიღებენ ყველა ღონისძიებას იმისათვის, რომ რაც შეიძლება უფრო გააფართოონ საქონელგაცვლა, მოამზადონ საბაჟო გაერთიანების განხორციელება და შეთანხმდნენ სხვა ქვეყნებთან მათი სავაჭრო ურთიერთობის საერთო ღონისძიებებზე.

ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა ვალდებულება იკისრეს უზრუნველჰყონ უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობა კულტურის ყველა დარგში.

რუმინეთ-ბულგარეთის ხელშეკრულება დადებულია ოცი წლის ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს დოქტორმა პეტრუ გროზამ და გ. მ. დიმიტროვმა.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის კომისიის სამუშაო კომიტეტის სხდომაზე

**ნიუ-იორკი**, 18 იანვარი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიის სამუშაო კომიტეტი 16 იანვარს შეუდგა ატომის ენერგიისადმი საერთაშორისო კონტროლის საკითხზე საბჭოთა კავშირის 1947 წლის 11 ივნისის წინადადებათა შემდგომ განხილვას.

განიხილეს აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიერ გასული წლის სექტემბერში გაცემული პასუხი ინგლისის კითხვებზე ამ წინადადებათა გამო. მოკლე საპროცედურო დისკუსიის შემდეგ კომიტეტმა გადასწყვიტა მუხლობრივ განიხილოს საბჭოთა წინადადებანი და ამავე დროს განიხილოს საბჭოთა კავშირის პასუხი ინგლისის კითხვებზე, როცა ეს განსახილველ მუხლს შეეხება.

სხდომის დანარჩენი ნაწილი უმთავრესად მიეძღვნა საფრანგეთის წარმომადგენელ დე როზას კითხვებს საბჭოთა კავშირის წინადადებათა პირველ პარაგრაფზე და გრომიკოს პასუხებს. ეს პარაგრაფი ითვალისწინებს დაწესდეს „მკაცრი საერთაშორისო კონტროლი ერთდროულად ყველა იმ საწარმოსადმი, რომლებიც მუშაობენ ატომური ნედლეულის მოპოვებასა და ატომის მასალებისა და ატომის ენერგიის წარმოებაზე“.

გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებათა პირველი პარაგრაფი ითვალისწინებს ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახის იარაღის აკრძალვის შესახებ კონვენციის წინასწარ დადებას, აგრეთვე, რომ ეს პარაგრაფი ითვალისწინებს ყველა ატომური საწარმოსადმი ერთდროულად კონტროლის შექმნას.

სამუშაო კომიტეტის შემდეგი სხდომა 22 იანვარს შესდგება.

# გერმანიის სახალხო კონგრესის მომავალი სესიის გამო

**ბერლინი**, 17 იანვარი. (საქდესი). 15 იანვარს ბერლინში დოქტორ ვილჰელმ კიულცის თავმჯდომარეობით შესდგა გერმანიის სახალხო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სხდომა, რომელზეც მოხსენება ფრანკფურტის გადაწყვეტილებათა შესახებ გააკეთა ოტო გროტევოლმა. 7 და 8 იანვრის დღეებს, როცა წარდგენილ და მიღებულ იქნა ფრანკფურტის გადაწყვეტილებანი, გროტევოლმა უწოდა გერმანიის ისტორიის შავი დღეები. მან ამ გადაწყვეტილებათა საპასუხოდ მოითხოვა გერმანიის საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და გერმანიის ერთიანობის საკითხზე სახალხო რეფერენდუმის ჩატარება, როგორც საკონსტიტუციო მთავრობის შექმნის აუცილებელი პირობა.

გერმანიის სახალხო კონგრესის დეპუტატმა პაულ კოლიჰოფერმა (მაინის ფრანკფურტიდან) მოიყვანა დაწვრილებითი ცნობები დასავლეთი ზონების მდგომარეობის შესახებ. კამათის შემდეგ მუდმივმა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

„უდიდესი შეშფოთებით არის მოცული ჩვენი ხალხი ფრანკფურტის გადაწყვეტილებათა მიღებასთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილებანი შედეგია ცნობილი წრეების პოლიტიკისა, რომელთაც სურთ, რადაც უნდა დაუჯდეთ, ხელი შეუშალონ ერთიანი დემოკრატიული და დამოუკიდებელი გერმანიის შექმნას. ხელი რომ შეეშალა ამ მისწრაფებათათვის, 1947 წლის 6-7 დეკემბერს შემდგარმა გერმანიის სახალხო კონგრესმა აირჩია გერმანიის ყველა ნაწილის წარმომადგენელთა დელეგაცია, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ლონდონის კონფერენციისათვის უნდა გადაეცა გერმანელთა მისწრაფება ერთიანობისაკენ. დასავლეთი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა უარჰყვეს ამ დელეგაციის მიღება და ამით ცხადჰყვეს, რომ მათ არავითარი სურვილი არა აქვთ განიხილონ გერმანიის საზავო ხელშეკრულება მოკავშირეების პოტსდამის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის ჩაშლის შემდეგ მაინის ფრანკფურტში წარმოდგენილ იქნა გაერთიანებული ზონის რეორგანიზაციის ინგლისურ-ამერიკული გეგმა. თვითეული გერმანელი, რომლისთვისაც ჩვენი სამშობლოს ერთიანობა სასიცოცხლო საქმეა, ამ გეგმის გატარებაში ხედავს გერმანიის დანაწილების ღონისძიებებს. ღრმა სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ როგორც პარტიის წარმომადგენლები, ისე ზიზონიის მხარეთა პრემიერ-მინისტრები, რომლებიც მიწვეული იყვნენ ფრანკფურტის თათბირზე, დაეთანხმნენ ამ გეგმებს.

თვითეულ დემოკრატიულად განწყობილ გერმანელს არ შეუძლია არ დაინახოს ფრანკფურტის გადაწყვეტილებებში უარის თქმა გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებზე. გერმანიის სახალხო კონგრესის მიერ რწმუნებამოსილი მუდმივი კომიტეტი ამის გამო გამოსთქვამს თავის თვალსაზრისს და ადგენს:

გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობისათვის ბრძოლა გაგრძელდეს მანამდე, სანამ, ბოლოსდაბოლოს, მიღწეული იქნება ერთიანობა და დემოკრატიული მშვიდობა. მუდმივი კომიტეტი მოითხოვს საყოველთაო სახალხო რეფერენდუმს გერმანიის ერთიანობის საკითხზე. იგი გამოსთქვამს სურვილს, რომ მოკავშირეთა საკონტროლო საბჭომ მოიწვიოს გერმანიის საკონსულტაციო საბჭო, რომელიც გათვალისწინებული იყო საგარეო საქმეთა მინისტრების ჯერ კიდევ მოსკოვის კონფერენციაზე. საკონსულტაციო საბჭოს ამოცანებს უნდა შეადგენდეს: სახალხო რეფერენდუმის მომზადება, დემოკრატიული კონსტიტუციის პროექტისა და ეროვნული კრების არჩევნების დებულების შემუშავება, რაც შესაძლებელს გახდის შეიქმნას სრულიად გერმანიის მთავრობა.

ითვალისწინებს რა მდგომარეობის სერიოზულობას, მუდმივი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას მოწვეულ იქნას სახალხო კონგრესის მეორე სესია მთელი გერმანიისათვის 1948 წლის 18 მარტს ქალაქ ბერლინში.

მუდმივი კომიტეტი მოუწოდებს ყველა გერმანელს შეუსუსტებელი ენერგიით განაგრძოს ბრძოლა გერმანიის ერთიანობისა და სამართლიანი მშვიდობისათვის.

ყველა დემოკრატიულ პარტიასა და დემოკრატიულ მასობრივ ორგანიზაციას მოვუწოდებთ, ჩაატარონ სახალხო კონგრესის მეორე სესიის აქტიური მომზადება.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

23 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის სხდომის დარბაზში (ხეთაგუროვის ქ. № 2) მოწვეულია **მშრომელთა დეპუტატების მოლოტოვის რაისაბჭოს (მეორე მოწვევის) 1-ლი სესია.**

24 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში (შაუმიანის ქ. № 1) მოწვეულია **მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის რაისაბჭოს (მეორე მოწვევის) 1-ლი სესია.**

24 იანვარს, საღამოს 7 საათზე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს წითელ დარბაზში (ბერიას სახელობის მოედანი № 2) მოწვეულია **მშრომელთა დეპუტატების ბერიას რაისაბჭოს (მეორე მოწვევის) 1-ლი სესია.**

## თეატრებში

**21 იანვარს:** **ზ. ფალიაშვილის სახელობის** ოპერისა და ბალეტის თეატრში—„აბესალომ და ეთერი“; **მარჯანიშვილის სახელობის** — „უბრალო ადამიანები“; **გრიბოედოვის სახელობის**—„პური ჩვენი არსობისა“; **სომხური**—„ნამუს“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„პატარა მეომრები“; **რუსული**—„წითელი ყელსახვევი“; **მუსიკალური კომედიის**—„სიმღერის ძალა“.

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 3 თებერვალს, დღის 12 საათზე ინსტიტუტის საქტო დარბაზში შესდგება სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომა, რომელზეც სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

**ლ. ი. სააკოვა** თემაზე: **„მასალები იმერული ცხვრის პროდუქტიულობის შესასწავლად“.**

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **დ. გ. აგლაძე**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ნ. ო. მელითაური.**

**ვ. თ. სვანაძე** თემაზე: **„Агрогидрологическая характеристика основных типов почв западной Грузии“.**

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ს. ვოზნესენსკი**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **კ. ბ. კელენჯერიძე.**

სადისერტაციო ნაშრომებს გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 3 თებერვალს, დღის 2 საათზე ინსტიტუტის აუდიტორიაში, (მელიქიშვილის, № 16) მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს: **სურენ არკადის-ძე ავეტისიანი** თემაზე: **„Басаргечарский торф, его лечебное применение и перспективы торфолечения в Армении“.**

ოფიციალური ოპონენტები: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ანდლულაძე** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **დ. ჯავახიშვილი.**

10 თებერვალს, დღის 2 საათზე იმავე აუდიტორიაში მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს—ოპერაციული ქირურგიის კათედრის ასისტენტი **შამშე ივანეს-ძე ქევანიშვილი** თემაზე: **„ახალშობილთა ღვიძლის ცვალებადობის უკიდურესი ფორმები“.**

ოფიციალური ოპონენტები — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მ. კოკოჩაშვილი** და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ნ. ჯავახიშვილი-კომახიძე.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ ნაშრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 1).

**დირექცია**

ერ. წივწივაძე, ქ. ივანიშვილი, ქ. ფულარია, ქ. ბახტურიძე, ც. ჩხეიძე, ნ. ავიაშვილი, პ. ბახტურიძე, ნ. კაკუშაძე, გ. იამანიძე იუწყებიან **გივი კილაძის** გარდაცვალებას.

შვილები ალექსანდრე, აკაკი, პელო, მერი ოჯახებით იუწყებიან **მატრონა მათეს ასულ ხურმავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-I ქუთაისში, ლენინის, 30.

ლეონიდე, მარიამ, ნუცა ხუციშვილები ოჯახებით იუწყებიან სიძის **ვახტანგ აპოლონის-ძე ივანიცკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-I, 7 ს. გამოსვენება 22-I, 2 ს. ობოლაძის, 8.

მეუღლე თეკლე, შვილები ლევან, თამარ, ნინო ოჯახებით იუწყებიან **ნიკოლოზ ეპიფანეს-ძე პარკაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-I, 7 ს. გამოსვენება 22-I, 4 ს. კობის, 3.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები იუწყებიან **ლევან დავითის-ძე გაწერელიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 21-I, 7 ს. გამოსვენება 22-I, 5 ს. I შირშოვის, 13.

ბ. ანთელიძე და ა. ბაკურაძე იუწყებიან **ეფრემ ბარამიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ზემოსურებში.

სოფიო, ეკატერინე, ზაქარია, გიორგი მაჩაბლები ოჯახებით, მარინე, ვახტანგ ლეჟავები, არჩილ სალარიძე იუწყებიან **ბაბო ფავლენიშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივანი—3-08-67, ხამდივნო—3-06-88, განყოფილებები: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მოტივისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51,81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 უმ 00818